

თებერვალი. 1911 წ.

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I სურათი სასტიკი ზამთარი 66
II ია და გოგია ლექსი ბ. მდივნიშვილისა 67
III უშიშარი კატა (თარგმანი) 69
IV პატარა ყვავილები და დინჯი ნაძვის ხეები. ფრინგულიდან ელ. ლ—ნ 70
V პატარა მარიკა ამბავი დ. ს. 71
VI ყველიერი, ზღაპარი პოვჰანნეს თუმანიანისა, თარგმანი ვ. კ—ნისა 78
VII ფიქვი (თარგმანი) ანასტ. წერეთლისა 82
VIII ლარიბი ოჯახი (სურათზე დაწერილი ამბავი) ლიზიკო ნიკოლაძისა 88

IX მდინარის სიმღერა ლექსი ნ. ზომლეთელისა . . . 89
X მზე დიდებული გ. ქუჩიშვილისა 91
XI ჯეკი. ცეცხლის მქრობელი რაზმის ძაღლი (მოთხრობა) თარგმანი ეკ. მესხისა 93
XII 19 თებერვალი, ბატონყმობის გაუქმება: ბატონყმობა ჩვენში № 105
XIII ოსმან-აღას თავგადასავალი 107
XIV ბატონ-ყმობა რუსეთში. ს. ფ—ი. 114
XV მესმის, მესმის ლექსი ილ. ჭავჭავაძისა 120
XVI შესანიშნავი ქვეყანა მოგზაურობა ჩრდილოეთ ამერიკაში, ფლორიდა. შაქრის მოყვანა 121

მიილება ხელის მოწერა 1911 წ.

ამ **1911** წ. ხელის მომწერლებს დაურიგდებათ საჩუქრათ ორი წიგნი.

1) **ღვთის წყალობა** დასურათებული მოთხრობა გიორგი წერეთლისა.

2) **საუმაწვილო ამბების კრებული** სურათებით.

Ж-40



საყმაწვილო, ნახატებიანი ყურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

თებერვალი, 1911

✦ წელიწადი მეოცდათორე ✦

944

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1911

სასტიკი ზამთარი.

ია და გოგია.

(ვუძღვნი გოგია ჭიჭინაძეს)

ოხვრიავ და ძმაენიერო,
თალხი კაბა რად გაცვია?
გენაცვალე, შემოგევლე,
ვინა ხარ და ან რა გქვია?!
გაზაფხულის მორბედს გევხარ,
ხომ არა ხარ ნაზი ია,
ბავშვები რომ გკითხულობენ:
ია აი, აი ია?
— ის ვარ ჩემო თმა-ქოჩორავ,
სწორედ კარგად შეკიტუვია.
— თვალ-ყუყუნავ, ბაწაწკუნავ,
არვინა გეავს საუვარელი?
— დედის გული, მოქარგული,
ხომ გინახავს მწვანე ველი?
— კი მინახავს ლამაზია
ყვავილული და სასურველი!
— და არა გეავს? — როგორ არა,
წითელ-კაბა, დარდიმანდი;
— შენ ია ხარ გამოგიცან,
ჰას რა ჰქვიან? — ვარდი, ვარდი!
— ძმაც ხომა გეავს? — მეავდა, მოკვდა,

სიკვდილმა ჭკრა გულში ტეკია;
შავი კაბა მან ჩამაცვა,
დარდს და ნაღვლს შემაჩვია.
— კარვი იყო?— რაღა გითხრა,
გულკეთილი, ჯანით გრდემლი;
მის დამკარგავს დედას თვალზე
აღარ შრება დღესაც ცრემლი.
—შენ ვიღა ხარ?—მამის ცელქი
ციდამ ქვეუნად ჩამოსული,
დედის მკერდზე მეც შენსავით
ბორჩ ეკავილად ამოსული.
მოდი ჩემი შენ და იყავ
და მე შენი ძმა ვიქნები,
მოგივლი და გიპატრონებ,
როცა დიდი შევიქნები.
— კარგი ძმაო, მაშ მითხარი
სახელად შენ რაღა გქვიან?
— შინ და გარედ მოუსვენარს
ცელქ გოგიას მეძახიან!..

შ. მღვიმელი.

უშიშარი კატა.



ერთი კატა მზეზე ეთამაშებოდა თავის კნუტებს. უცბათ დაეცა ქორი და კნუტის წართმევა უნდოდა. კატა სწრაფად მიეარდა ქორს და დააგდებინა დავლა. ქორი თავისი მძლავრი ფრთებით, ნისკარტით და კლანჭებით უწეალოთ ერტყამდა და კოდავდა საბრალო კატას, ბოლოს ერთი თვალიც გამოსთხარა. მაგრამ კატა თავს არ ანებებდა, სანამ ფრთა არ გადუტეხა. მაშინ-კი მიეარდა თავის მტერს და თავი მოაგლიჯა

მერე, თუმცა მწვავი იარები აწუხებდენ, ის სწრაფად მიეარდა თავის კნუტს და დაუწყო იარების ლოკვა.

(თარგმანი).

ჰატარა ყვავილები და დინჯი ნაძვის ხეები.

(ჩინურიდან ნათარგმნი
ივდით გოტიეს მიერ).

მთის მწვერვალზე ნაძვის ხეები ამართულან დაფიქრებულნი და მოდუშულნი; მთის ძირას ლამაზი ყვავილები გადაშლილან მწვანე ბალახზე.

ჰატარა ყვავილები ადარებენ თავის ცინცხალ კაბებს ნაძვის ხეების მუქ ტანსაცმელს და იცინიან.

და ჭაეროვანი ჰეპლები მსიარულ ბანს აძლევენ მათ სიცილს.

მაგრამ ერთ ზამთრის დილას მე შევხედე მთას; ნაძვის ხეები, თეთრათ მოსილნი, ისევ იქ იუვენ, მწვერვალზე, დინჯნი და დაღვრემილნი; მთის ძირას კი ტუვილათ ვეძებე დიდხანს, ველარსად დავინახე ჰატარა დამცინავი ყვავილები.

ელ. დ.-ნ.

(ფრანგულიდან).





პატარა მარიკა.

ენი ჭირიმე, დედა, მიამბე პატარა მარიკას ამბავი!»

— კარგი, ჩემო ბიჭიკო, გიამბობ; მაგრამ იმ პირობით, თუ, სანამ სულ არ გავათავებ, შენ ჭკვიანად იქნები და გულმოდგინეთ ეურს დამიგდებ!

— «კარგი, დედა, ჭკუით ვიქნები და ეურს დაგიგდებ!»

„მარიკა პატარა ბავშვი იყო,—დაიწყო დედამ,— შენზე ერთი წლით უფროსი იქნებოდა, ასე ხუთი წლისა, ცოტათი შენზე მაღალი იყო; გრძელი, აბრეშუმივით ხვეული, ქერა თმა, ცოცხალი, შავი თვალები და ოთხი პირისახე, მას ძლიერ უხდებოდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, პატარა მარიკა ძალიან ჭკვავდა შენ, ჩემო აჩიკო. მას ბევრი სათამაშოები ჭქონდა, მაგრამ ისე არაფერი არ უყვარდა და არ ართობდა. როგორც დედოფლები. თავის ოთახში ედგა ერთი პატარა მაგიდა, რომელსაც ზედ ეყარა ნაცრისფერი სუფრა. დააწყობდა ხოლმე მარიკა მაგიდაზე თავის პაწია ჩაის ჭურჭელს, დაადგამდა სამოვარს, ჩამოამ-

წკრიალებდა საუვარელ სტუმრებს—დედოფლებს—და თვითონ დაჯდებოდა იმათ პირდაპირ პატარა სკამზე, სამოვართან ახლო..

— „რამდენი დედოფალ ჰყავდა მარიკას“?—გააწყვეტინა შვილმა.

— ოთხი, შვილო: ერთი მოზრდილი დედა, მეორე იმხელავე მამიდა, ორიც პატარა შვილები. მარიკა თავის დედოფლებში დედას კნეინა კატოს უმახდა, მამიდას—ტასოს, ერთ შვილს—ანეტას და მეორეს—ნუცას.

— ერთი კიდევ მიირთვით, კნეინა კატო!—ეუბნებოდა ხშირათ მარიკა უფროსს დედოფალას,—თქვენ, მე ვიცი, ძალიან გიყვართ ჩაი. მაგრამ ჩემთან ყოველთვის ეგრე ინაზებით ხოლმე!

„ერთხელ მარიკა იჯდა თავის სტუმრებთან, მაგრამ კვლავინდებურად მათთან ბაასი არ ჰქონდა გაბმული, რაღაცაზედ ღრმად ჩაფიქრებულიყო

— ნეტავი, ის პაწია ლამპა ძოძცა,—ფიქრობდა მარიკა,—მერე რანაირად დაამშვენებს ჩემს მაგიდას. მეზობლიანთ მღვდელმა მითხრა კიდეც:—კუდიანო, შენ გეტყობა ჩემი ლამპა ძალიან მოგწონს, წაიღე და შენს დედოფლებს მაგიდაზე დაუდგიო. დედამ გამაჩერა, მითხრა:—სირცხვილია არ წამოიღო, მალე მამა წავა ქალაქში და გიყიდის მაგაზე გაცილებით უკეთესს ლამპასო. მართლაც, მამა წავიდა ქალაქში, მაგრამ ლამპის ყიდვა დავიწყებოდა; ჩვენი მღვდელი-კი ისეთი კეთილია, ისეთი კეთილი, რომ, კიდეც რომ წამოვიღო ლამპა, სრულიად არ ეწყინება.

— იცით, რა გითხრათ!—წამოხტა სკამიდან მარიკა და მიმართა დედოფლებს,—თქვენ, მართალია, ჩემი სტუმრები ბრძანდებით და უზრდელობით ჩამოძერთმევა, რომ ვატარა ხნით თავი დაგანებოთ, მაგრამ ისეთ ვაწია ლამპას მოგიტანთ, რომ თქვენც გახარებული დარჩეთ. იმ ლამპას ერთობ ლამაზი ლურჯი შარი აქვს, აი ასეთი, როგორიც ჩემი კაბაა.

„ამ დროს იმასთან მივიდა კატა კრუტუნით და ფეხებთან მოიკუნტა. მარიკამ კატა ხელში აიყვანა, დასვა თავის ვატარა სკამზე და უთხრა:

— ჩემო ფისუნი, ჩემს მოსვლამდის იყავი აქ და შენი ზღაპრებით გაართე ჩემი სტუმრები. არაფერი გატეხო, არ დაგეძინოს, გესმის ფისუნი?!..

„ამ სიტყვებით ბოდიში მოიხადა თავის სტუმრებთან,—ხელით კოცნა გაუგზავნა და გამოიქცა კარში.

„ფისომ სკამზე მოიკალათა. დედოფლებმა-კი თვალი გაადევნეს საყვარელ დიასახლისს მამიდა ტასოს ისე ჰქონდა ხელები გაშეერილი, თითქოს უნდოდა ჩაჰკონებოდა და დაეკოცნა მარიკას მოდეღილი, ვაწია გული!

„მარიკას სახლთან ასლო ცხოვრობდა მღვდლის ოჯახი, სადაც იგი ხშირი სტუმარი იყო, მეტადრე მაშინ, როდესაც კოლიო და ხილი ეგულებოდა. მღვდელმაც იცოდა ეს და ეოკველთვის უნახავდა ისეთ კოლიოს, რომელსაც ბევრი თაფლი, ნუში და ქიშმიში ჰქონდა გარეული.

,,კარგი მეგობრები იუვენ სამოცი წლის მღვდელი და ხუთი წლის მარიკა. ის დღესაც მიცუნცულდა. მღვდელი სახლში არ იყო, ფოფოდია დედა-კაცებს ბურს აცხობინებდა, ამათი უფროსი ქალი რაღაცას გაცხარებული ჭკერავდა.

, მარიკა ბირდაბირ მღვდლის ოთახში შევიდა შეუმჩნეველად, მაგიდაზე დაინახა ის ბაწია ლამპა, რომელიც სიზმრად ჭქონდა გადაქცეული. დიდხანს უვლიდა მაგიდას ქელასავით: ხან აიღებდა ლამპას, ხან ისევ დადგამდა, ხან აკოცებდა, ბოლოს ვეღარ მოითმინა, მიიხედ-მოიხედა, აიღო ლამპა, კაბის კალთა გადააფარა და გულის ფანცქალით მოჭკურცხლა შინისკენ, თან გულში უხაროდა, რომ არავინ შეამჩნია.

,,მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც თავის ეზოში შევიდა, უკანიდან მოესმა მღვდლის ხმა:—აი, შე კუდიანო, სად მიცუნცულებ?

მარიკა გაწითლებული და შეშინებული შეეარდა თავის დედოფლებთან.

— აი, ხედავთ. რა ლამაზი ლამპაა, მხოლოდ დედას არ უთხრათ!—აღელვებული, ჩქარა ეუბნებოდა მარიკა დედოფლებს. უცებ ფეხის ხმა შემოესმა და ლამპა საჩქაროდ თავის ბატარა შკაფში დამალა.

,,— დედა, მღვდელმა დაინახა ლამპა რომ მიჭქონდა ძარიკას''—დაეკითხა შვილი აჩიკო თავის დედას.

,,არა, შვილო, არ დაუნახავს, მაგრამ მაგიდა-

ზე რომ ლამპა ალარ დახვდა, მაშინვე მისვდა ვისი ოინებიც იყო იმის იქიდან გაქრობა. დაუძახა ფოფოდიას.

— სოფიო, აკი იმ კუდიან მარიკას ლამპა წაუღია!

— უი, დამიდგეს თვალები! ეგ სულ შენი ბრალია, მღვდელო, ყოველიფერზე უცინი; შვილები დამეხოცოს, თუ ეგ იმისთვის კარგი იყოს: ლამპაც მისი ჭირი წაიღო, მაგრამ ვაი თუ მერე უარესი რამ ჩაიდინოს,—ეუბნებოდა ცოლი მღვდელს.

— შენ ნურაფერზე ნუ შეწუხდები, ჩემო კარგო, ბიჭი გაგზავნე დათიკოსთან, მოახსენოს პატარა ხანს აქ გადმობრძანდეს,—უთხრა მღვდელმა.

— „დათიკო ვინ იყო, დედა?"—დაეკითხა შვილი.

— დათიკო მარიკას მამა იყო და კარგი მეგობარი მღვდლისა,—განაგრძო დედამ ამბავი,—პატარა ხანს უკან დათიკოც მოვიდა.

მღვდელმა გააგებინა საქმე რაშიაც იყო.

— ბავშვს არ გაუწერე, ნურცა-კი შეანიშვნიებ, რომ შენ იცი რამე; ისე უნდა მოახერხო, რომ ბავშვი თავისით მიუხვდეს შეცდომას,—დაარიგა დათიკო მღვდელმა.

— „მარიკა ამ დროს რას შვრებოდა"?—ჰკითხა შვილმა.

„მარიკა მთელი დღე მოწყენილი იყო, დედამ შენიშნა ეს და ჰკითხა:—ხომ არაფერი გტკივა შვი-

ლო, ან ხომ არაფერი გაგიტეხიაო. მარიკა ეოველისფერზედ უარს ეუბნებოდა.

„საღამომ მოატანა. ჩაის შემდეგ მარიკა კვლავინდებურზე უფრო ადრე დაწვა დასაძინებლად, ძილის წინ-კი ეოველთვის ხან მამა და ხან დედა უამბობდნენ ხოლმე მას სხვა და სხვა ამბებს, ასაც უყვარდა მოსმენა.

„იმ საღამოსაც მივიდა მარიკასთან მამა, გადაუსვა თავზე ხელი და უთხრა:—შენ ხომ გიყვარს ზღაპარა ამბების მოსმენა; თუ ძალიან არ გეძინება, ეურჩი დამიგდე, მოგიყვები ერთი ბავშვის თავ-გადასავალს.

— ერთ ტყესთან ასლო ცხოვრობდა ერთი ოჯახი, რომელსაც შეადგენდა მამა, დედა და რვა შვილი. მშობლები ბოროტების მიმდევრები იყვენ. შვილებს ქურდობას და ავაზაკობას ასწავლიდენ. ეოველ დღეს ნაქურდალი რამე უნდა მოეტანათ; ვინც ამას არ ასრულებდა, სასტიკად დაასჯებოდა. ყველა ემორჩილებოდა მშობლების ბრძანებას, გარდა რვა წლის ემაწვილის სანდროსი, რომელიც არას დროს არ ჩაიდენდა ცუდ საქმეს. ამის გამო შეუბრალებლად სჯიდენ მას მშობლები.

ერთხელ მეტად ცუდი დარი დაიჭირა ბ ა ი, ამ დროს სასტიკის ბრძანებით სანდრო კარში გააგდეს:

— თუ შენ დღეს ბევრი ნაქურდალი არ შემოგიტანია, იცოდე თვალით არ დაგვენახო!

წავიდა საბრალო ბავშვი ატირებული, შევიდა შუაგულ ტყეში და შეეგვედრა ღმერთს:

— ეოვლად შემძლე, ზეციერო მამავ, მომაშორე ამ ტანჯულ ცხოვრებას!

ვატარა სანდრო ცხარე ცრემლით ტირიდა. მას სიცივისაგან გაეინვა მოელოდა, ტუე გაიარა, სოფლის გზაზე გავიდა. მას აქ ერთი უცნობი კაცი შეხვდა; შეეცოდა სიცივისაგან გალურჯებული ბავშვი და ჰკითხა: ვინ ხარ ვატარაკ, სად მიხვალ?

სანდრომ იმას ეოველისფერი დაწვრილებით უამბო. ის კაცი უშვილო იეო და თანაც მდიდარი. ბავშვი შეეცოდა, წაიევანა თავისთან, შეიევარა, იშვილა და მთელი თავისი საცხოვრებელი მას დაუმტკიცა. სანდროს დედ-მამა-კი თავის შვილებით რაღაც ავადზაკობის გამო დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. სედავ, ჩემო გოგონა, სანდრო ღმერთმა თავის კარგ საქციელისთვის რა რიგ დააჯილდოვა და მისი ბორიტი დედ-მამა-კი რანაირად დასაჯა! როგორ გგონია, ის ბავშვი უფრო სასტიკი სასჯელის ღირსი არ იქნება, რომელსაც უფრ-ესები არიგებენ, ცდილობენ კარგ გზაზე დააეენონ და ის მაინც ქურდობას და ცუდსაქმეს არ მოიშლის?

მარიკამ ძამას ვასუხი არ გასცა. იმ ღამეს ჩუმად ბევრი იტირა. მეორე დღეს ადრე გამოელვიძა, იმ დროს ციხეების ზარებს რეკდენ. მარიკა სახჭაროდ წამოხტა ლოგინიდან, ჩაიცვა და ძალულად ლამპა ისევ თავის ადგილზე მიიტანა. მობრუნდა, სახლში შეირბინა, დედას გულში ჩაეკრა და უეელაფერში გამოუტყდა.

ყველიერი.

(ზღაპარი,—ჰოვჰანნეს თუმანიანისა)

ერთ დროში ცხოვრობდენ ერთი ცოლ-ქმარნი.

ამათ ერთმანერთი არ მოსწონდათ.

ქმარი ცოლს ეუბნებოდა: სულელი ხარო; ცოლი—ქმარს და ერთთავად ჩხუბობდენ.

ერთ დღეს ქმარს რამდენიმე ფუთი ერბო და ბრინჯი ეყიდნა, მუშის ხელით სახლში გამოეგზავნა.

ცოლი გაუჯავრდა ქმარს:

— ეი, რომ გეუბნები სულელი ხარ-მეთქი, არ გჯერა? ამდენი ერბო და ბრინჯი ერთბაშათ რათ გიყიდნია და გამოგიგზავნია; მამა შენს ქელეხს უმართავ, თუ ვაჟს აქორწილებ?

— რის ქელეხი, რის ქორწილი? რას ამბობ ქალო! წაიღე და შეინახე, ყველიერისთვის არის.

ცოლმა გაუგონა ქმარს, წაიღო და შეინახა.

გაიარა რამდენიმე ხანმა, ცოლი ელოდება, ელოდება, მაგრამ ყველიერი არ მოდის. ერთ დღეს კარებიდან დაინახა, რომ ერთი კაცი სახქაროთ მირბის, ხელი შუბლზე მიიდო . . და ხმა მაღლა დაუძახ-:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძმაო, ძმაო, ცოტა ხანს გაჩერდი. კაცი გაჩერდა.

— ძმაო, უველიერი შენ ხომ არა ხარ? გაძვლელი შეატყობს, რომ ამ ქალს ჭკუა აკლია; გულში იტყვის, ჭოს ვეტყვი, ვნახო რა გამოვა.

— ჭო, მე ვარ უველიერი, დაო, რა უნდა მითხრა?

— იმას გეუბნები, რომ ჩვენ შენი მოსამსახურე ხომ არა ვართ, შენი ერბო და ბრინჯი შევინახოთ! რაც შევინახეთ არ გეყო?.. არა გცხვენიან?.. რატომ არ მოდიხარ შენი საქონელის წასაღებათ...

— ეჰ, რაღას მიწურები, დაო; მეც სწორეთ მაგისთვის მოვედი, თქვენ სახლს ვეძებდი და ვერ ვიპოვე.

— კარგი, მოდი და წაიღე.

ეს კაცი სახლში შევიდა, ერბო და ბრინჯი წამოიკიდა და გაიქცა თავის სოფლისაკენ.

ქმარი სახლში მოვიდა, ცოლმა უთხრა;

— მართლა, რა გითხრა! დღეს ის უველიერი მოვიდა და თავისი რამეები თან წაიღო.

— რომელი უველიერი?.. რა რამეები? — გაიკვირვა ქმარმა.

— აი, ის ერბო და ბრინჯი... ერთიც ვნახო, — ზევიდან მოდის, ჩვენს სახლს ეძებს: დაუმახე, საუველური უთხარი, რად დაიგვიანე-მეთქი, თან ერბო და ბრინჯი აკიდე და წაიღო.

— ვაი ჩვენი ბრალი! რომ გეუბნები სულელი ხარ-მეთქი, ხომ მართალია! ერთი სისულელე კიდევ დღეს ჩაგიდენია! რომელ მხარეს წავიდა?

— აი, იმ მხარეს! —მიუთითა ცოლმა.

ქმარი ცხენზე შეჯდა და გამოუდგა ეკვლიერს. გზაზე ეკვლიერმა უკან მოიხედა, დაინახა, ერთი კაცი ცხენს მოაჭენებს, მიხვდა, რომ ეს იმ ქალის ქმარი უნდა იყოს.

მიუახლოვდა ცხენოსანი და მიესალმა.

— გამარჯობა, ძმაო.

— გაგიმარჯოს!

— ამ გზაზე კაცს ხომ არ გაუვლია?

— გაიარა.

— რა ეკიდა?

— ერბო და ბრინჯი!

— ჰო, მეც ეგ მინდა. რამდენი ხანი იქნება?

— კარგა ხანი იქნება.

— ცხენს რომ აუჩქარო, დავეწევი?

— როგორ დაეწევი შენ ცხენით, როდესაც იგი ფეხით მიდის? ვიდრე შენი ცხენი ოთხ ფეხს გადადგამს:—ერთი, ორი, სამი, ოთხი! ის ორი ფეხით:—ერთი, ორი! ერთი-ორი! სწრაფად წავა, შორ გზას გაივლის.

— მაშ, რა ვუყო?

— რა უნდა უყო! თუ გინდა, ცხენი ჩემთან დატოვე, შენც იმასავით ფეხით გაიქეცი, იქნება დაეწიო.

— ჰო, ამას კარგს ამბობ!

ჩამოვიდა, ცხენი ეველიერს დაუტოვა და ფეხით გზას გაუდგა. მოშორდა თუ არა, ეველიერმა ტვირთი ცხენს აჭკიდა, გზას აუხვია და გააჭენა

ის კაცი კი ფეხით მიდის და მიდის... შეატყო, რომ ვერ დაეწია და უკან დაბრუნდა; ხედავს, ცხენიც არ არის. მივიდა სახლში, ხელახლად დაიწყეს ჩხუბი, ქმარი—ერბო და ბრინჯისთვის ჩხუბობს; ცოლი—ცხენისთვის!

ეს ცოლ-ქმარნი დღეგანდლამდის ჯერ ისევ ჩხუბობენ. ქმარი ცოლს ეუბნება, სულელი ხარო, ცოლი-ქმარს; ეველიერს კი ესმის და იცინის.

(სომხურით)

ე. კ—ნი.

ფიჯვი.

რთ გავერანებულ, ქვიშიან დიდ ადგილს კაცისთვის არაფერი სარგებლობა არ მოჰქონდა. კაცმა იფიქრა, იფიქრა და გადასწყვიტა: მოდი ამ უვარგის ქვიშიან ადგილზე ფიჯვნარსა გავაშენებო. ფიჯვი ქინიანი ხე არ არის, უბრალოზე დაკმაყოფილდებაო. „კარგი, ფიქრობს ფიჯვი, აქაც არა მიშავს-რა, ვიხეირებ!“

წელიწადები გადის, ფიჯვი იზრდება, წითელ, რგვალ ღეროებს სულ მაღლა უშვებს, თავის შტოებს აქეთ იქით ჰარჭუავს, მწვანე ეკლებს იბამს.

— მომბეზრდა შენი საზრდოება, ეუბნება დედა-მიწა ფიჯვს,—დამაცადე, მოგიშვლიებ გრიგალს და იმან იცის, როგორ ამოგაგდებს შენ ფესვებიანათ.

ჰასუხის მაგივრად ფიჯვმა თავისი მოზრდილი ფესვი სულ ღრმათ მიწაში ჩაფლა. სხვა ფესვები აქეთ-იქით გაუშვა, როგორც მძლავრი ხელები. ფესვებმა მაგრათ მოიკიდეს ბინა დაფშხალულ ქვიშაში და არ აჰირებდენ გრიგალის ძიშვებას დედასთან. გრიგალი

მართლაც ფიჭვის ტოტებს მივარდა, მისი მწვანე შტოები ერთი მძლავრათ შეანძრია, მაგრამ, რო ვერა გააწეო-რა, სხვაგან გადაიარა.

— ვეღარ აუვედით ამ გაუმაძღარ ქვიშას, მოგვბეზრდა ამოდენა წელის მიცემა.—თქვა წვიმამ.

და თავისი წვეთები ფიჭვის მწვანე ეკლნარს გადაასხა და ხმაურობა შესწყვიტა. ფიჭვმაც ჯიბრზე სწორეთ დედა-მიწის ნაპირზე დიდი და ჰატარა ფესვები ათასნაირად გადახლართა და დაიწყო ქვიშიდან წელის გამოწოვა. ერთი ცვარიც არ გადაარჩინა.

ფიჭვის წინააღმდეგ გაილაშქრენ ტეის ღორმუცლები: ბუზანკალები, რწყილი-ეარიები და ფარვანა ჰეპლები.

— შენი ხმაურობით მოგვაბეზრე თავი. მაგ ფესვებს გადაგიღრღნით, მაგ ეკლებს გადაგიტეხთ!

გაიგო ეს ფიჭვმა, მაშინვე გაფისა ძთელი თავისი ტანი. ახლა ვიღა მიეკარებოდა მას!

— დამაცადე, მოვაღწევ შენამდის, ემუქრება გაბრაზებული სიცივე,—არ გავახარებ შენ წვეტიან ეკლნარს.

წამოვიდა შემოდგომის სუსხი, მოედო არე-მარეს ეინვები. დატრიალდა ეველგან ვაი-ვაგლახი. ფესვები ვეღარ სწუწნიან გაცივებულ მიწიდან წყალს. ჭალაში არეის ხეს და ვერხვს შეეშინდათ, აკანკალდენ, თავიანთი განიერი ფოთლები მოკუმშეს, რომ წყალი არ დაესარჯათ ცუდ უბრალოთ, ჰაერისთვის არ მიეცათ.

ფოთლები შემოსწერენ — გასხმენ, გაუვითლდენ, გაწითლდენ და დედა-მიწაზე ჩამოცვივდენ.

— არა უშავს რა, ამბობენ არეის ხე და ვერხვი, — უფოთლებოთაც გავძლებთ, ზამთარს გადავიტანთ, ოღონდ წყალს უნდა გაუფრთხილდეთ და მაშინ არ გავხმებით.

ეინვა ახლა ფიჭვის ტყეში გაიქცა, უნდა სწვეოდა ფიჭვხარს. მერე იცით რა წარმოუდგა მას თვალწინ! მისი ეკლები ისევ ისე გამწვანებული იხედებოდენ.

— ჩემი ეკლები არა გვანან სხვა ხეების დიდრონ ჰრტყელ ფოთლებს, ფიქრობს ფიჭვი, ჰაერს არ შეაშრობინებს ბევრ წყალს.

— მოიცადე, მე შენ გაგირიგებ საქმეს, ემუქრება ეინვა,—მოგტეხ მაგ ეკლებსაც და შტოებსაც.

და მიიშველა ეინვამ ფიფქი თოვლი. დიდხანს თოვდა. მაგრამ ეკლებზე არაფერი რჩებოდა. წვრილი ღეროებიც და შტოებიც მხოლოთ იზნიქებოდენ, თოვლმა სხვა ვერაფერი დაუშავა.

გადიოდა წლები, ფიჭვი სულ იზრდებოდა. ხე თან და თან მაღლა ადიოდა

***

ერთხელ ქარი, წვიმა და სიცივე შეიკრიფენ და მოჰყვენ ფიქრს, თუ როგორ გაანადგურონ ფიჭვი, როგორ მოსპონ მისი ხსენება დედა-მიწაზე. ფიჭვი ხოლმე ახლად გამოღებულ კლერტოებზე მოისხამს ჰატარა

ევავილებს. ერთ მხარეზე გამოჩნდება ქერქლი და მას ევითელი ძრო აქვს, ამ ევითელ ძროში არის მოევითანო მტვერი. ამ მტვერის გვერდით ბატარა ბურთებია ჭაერით სავსე, გეგონებათ ეს ბურთი ჭაერში გასაფრენათ ემზადებაო. მართლაც, გასკდება ბურთი თუ არა, ევითელი მტვერი მოემზადება გასაფრენათ, ელის ხოლმე მხოლოთ ქარს.

სულელი ქარიც მაშინვე გამოჩნდება, ჭგონია ფიჭვს ვავნებო, იწყებს თარეშობას, უბერავს მარჯვნივ და მარცხნივ და ამ ევითელ მტვერს ფანტავს აქეთ იქით. მტვერი ადის მაღლა, სულ მაღლა, ფრინავს და ევითელი წვიმასავით ედება ეველაფერს, ეფარება ღელეებს, გუბეებს და სხვა ფიჭვებზედაც გადადის.

— გაგაწევე შენი საქმე, რაც დაგავალეს? ჰკითხეს ქარს—წვიმამ და სიცივემ.

— ეველაფერი, უპასუხებს ქარი — რაც კი ევავილის მტვერი ფიჭვზე იყო ჩამოვაცალე.

— შე სულელო, ეგ რა გიქნია! უთხრა წვიმამ და სასტიკმა სიცივემ. არ იცი, რომ თუ ევავილის მტვერი გადავა სხვა ფიჭვზე, სადაც წითელი ხორკლია გამოღებული — ის ხორკლები თესლს გაიკეთებენ და თესლიდან კი ახალი ფიჭვის ხე გამოვა?

და წვიმაც და სიცივეც გაიქცენ, რომ საქმე გამოებრუნებინათ.

მართალი თქვეს წვიმამ და სიცივემ. ევავილის მტვერი ძროდან გადავიდა ფიჭვის კინკრიყოში. მისმა

ქერქლმა ცოტაოდნათ გაიწია და ადგილი მისცა ამ სანატრელ სტუმარს. აქედან თესლი გამოვიდა, დაძწიფდა.

ეგვაილის ქერქლი მომწიფდენ, ერ იმანერთს მიეკვრენ, ნაპირები გაფისვეს და სიცივე არ მიაკარეს თესლს. კინკრიჟო იზრდებოდა და იზრდებოდა, თავი ძირს ჰქონდა ჩამოშვებული, ქერქლი ახლა ჩაშავდა, ხესავით გამაგრდა. წვიმა და სიცივე გარს უტრიალებდენ, მაგრამ ვერა გააწუეს რა.

მესამე წელიწადს, გაზაფხულზე, თესლი მომწიფდა, კინკრიჟო გაიხსნა და თესლი გამოცვივდა — აქეთ-იქით განიფანტენ, გაფრინდენ. ეოველ თესლს აქვს პატარა ფრთასავით, ქარი არ იშლიდა, ფრთას ქვეშიდან უბერავდა და მთელ არე მარეზე ჰფენდა თესლს.

— შენ ეი, ქარო, კიდევ გვიფუჭებ საქმეს! დაუუვირა გაბრაზებულმა წვიმამ და კინკრიჟოზე კოკის პირულათ გადმოეშვა. კინკრიჟო დასველდა თუ არა, მოიკუმშა და წვიმა შიგ არ შეუშვა.

— გეტეობა შენც ვერა გააწუერა! უთხრა ქარმა წვიმას.

* *
*

ფიჭვი კი იზრდება და იზრდება. „ეველა მტრები მოვიგერე, ფიქრობს ფიჭვი“ ნეტა ფრინველი არ დამესიოს და თესლი არ ამიკენკოს! და დაიწყო მან დრო და დრო გამხმარი ეკლების მიწაზე ჩამოყრა,

გარშემო მათი გროვა შედგა ერთ ხანს მუხაჭ და მეორე არეის ხემაც სცადეს ფიჭვის ტუეში ფეხის მოკიდება, მაგრამ ძირს ნაკარი ეკლები არაფრად ეჭაშნიკათ თანაც ფიჭვის მწვანე ტოტების თავებმა ცხოველი ძზე არ მიაკარეს. ბუჩქებმა და რბილ ბალახმაც ფიჭვის ტუე მოიძულეს. ფიჭვს რა უდარდება, ის უფრო თავისთვის თავისუფლად არის.

მოფრინდენ ამ ტუეში ფრინველები, ეძებენ საზრდოს „ხომ არ გინახავთ აქ სადმე ჭნავი? ჭუავის ერთი ჩიტი. „მოცხარს ხომ არ შეხვედრიხართ? კითხულობს მეორე ჩიტი. ფრინველები თავ გახეთქილნი დაეძებენ ასკილს, ცხალს და ჯასველას. ვერ იძოვეს ვერაფერი და სხვა ტუეში გაფრინდენ

სიჩუმეა, საშინელი სიჩუმეა ფიჭვის ტუეში, მხოლოდ საიდანღაც შორიდან მოისმის გუგულის „გუგუ“ „გუგუ“. და ფიჭვის ეკლებიანი წვეროები მისცემიან თავიანთ ფიქრებს. და თან გააქვთ საიდუმლო შხუილი.

(თარგმანი).

ანასტასია წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარიბი ოჯახი.*)

ედა ზის და წიგნს კითხულობს. მისი ქმარი კი ბადეს აკერებს, რომელიც თაგვებს დაეჭამათ ზამთარში ჩარდახზე გდების დროს. ვატარა ციცუნიას თაგვის სუნი ეცა და სულ ბადისკენ მიიწევდა. ეგონა ბადეში თაგვებიაო და მათი დაჭერა უნდოდა. არ აცლიდა ბადის დაკერებას საცოდავ კაცს. მისმა ვატარა ქალმა კატა დაიჭირა. დაუწყო თამაში და თან ჭვირდებოდა: ჩემო ვატარა ციცუნია, დაიცა მამას, ნუ უშლი მუშაობას. ის დააკერებს ბადეს, წავა სათევზაოდ, ბევრ თევზს დაიჭერს, რბილი ჩვენ გვერგება და ძვლები შენ.

8 წლის ლიზიკო ნიკოლაძე.

*) ჯეჯილის იანვრის I ნომერში დაბეჭდილ სურათზე დაწერილი ამბავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდინარის სიმღერა

Ოვლი ატირდა მთაშია:
დადნა, გადიქცა ცვარებათ,
შეკრბენ წვეთები და თავქვე
დაეშვენ ნიალვარებათ;
გადმოეკიდენ მთის ფერდობს,
მოცელქობ-მოლიკლიკებენ
და მთისა ლრანტე-ხევ-ხუვებს
ჩხრიალ-დუდუნით იკლებენ.
თვისი სიცელქე-ხმაურით
ჯამოაღვიძეს მდინარე,
აქამდის მკერდ-ჩავარდნილი,
მიმკვდარებულად მძინარე!
ატოკდა, წამოკაპასდა,
წყროსმით ამალა ფაფარი:
დახვეტა კიდე— ნაპირი,
თეთრ ნიღაბ ჩამონაფარი!
გაგიჟდა, გადაირია,
ზამთარს მიუხტა ტევითა:
თეთრ წვერში ხელი ჩასჭიდა
და მიაქვს თავქვე თრევითა..
ზამთარსა სდევნის .. მზისკენ კი
ხელს აპყრობს მოწიწებითა,
გმირულ სიმღერას უმღერის
და იხსენიებს ქებითა:
„მნათობო გაზაფხულისა!
მნათობო, გენაცვალეო!
ძალა უმატე სხივებსა,
წამომაშველე მალეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაშია თოვლ ქვეშ განძი დევს,—
უნდა ჩავზიდო ბარათო,
გავშალო ჭალა-მინდორზე,
მშრომელთა გასახარათო!

ისინი ჩვენ იქ გვიცდიან,
საშრომლად გამოსულები:
ხელში-ცულებით, თოხებით. .
კავ-სახნის გამართულები!

უნდათ, რომ მინდვრებს მოედონ,
როგორც ურიცხვი კალია:—
გასწმინდონ, შემდეგ სახნისით
ღრმათ გაუარონ კვალია

ჩასთესონ, საათასოთა
მოსაწყევ-მოსამკალია!...
ჩვენც მივეშველოთ, მნათობო
მათი მოცდენა ბრალია“!.

ნ. ზომლეთელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზე დიდებული!

მე ვარ მნათობი
პირ-სხივოსანი;
ქვეს ჰიმნს მითხზავს
დილის მგოსანი!..



ნ რატომაც არა, მე ხომ მეფე ვარ ყველა ციაგებისა, მეფე სიცოცხლისა და სინათლისა, სიხარულისა და აღტაცებისა... ჩემი სამფლობელო უსაზღვრო და დაუსრულებელი ცის სივრცეა, სადაც ამაყად და მეფიდურად დავცურავ ღრუბელთა შორის..

როდესაც რომელიმე ქვეყანას ვშორდები, მას მაშინათვე სიბნელე ეფინება, სიცოცხლის ძალთა დუღილი ნელ-ნელა ყუჩდება; ყოველი არსი, სულიერი, თუ უსულო ისეთ ღრმა ძილს ეძლევა, თითქოს სამუდამოთ მოკვდა და აღარასოდეს არ გაიღვიძებსო! მე კი...

უშიშარი და ძალოვანი მოგზაური გახლავარ... მე როდი ვიცი რა არის დაღლილობა .. დაბადებიდანვე ერთხელ არჩეული გზით მივემართები, შეუჩერებლივ მივსრიალებ თეთრ, ყირმიზა ღრუბლებში და მთელი ქვეყნიერების ბორბალს გარშემო უვლი, როგორადაც ურმის ღერძს... ჩემთვის არ არსებობს არც სიბერე, არც მწუხარება... მარადის ჭაბუკი ვარ და მხიარული... მიყვარს სიცილი, მიყვარს ქათქათი, როგორც შეჰშვენის ბუნების მეფეს, ოქროს გვირგვინით მორთულს, დიდებულს... უმზეობა სიბნელესა და სიცივესა ჰბადებს! რადგანაც მხოლოდ ჩემი წყალობით, ჩემი სხივების შემწეობით ეფინება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ უზარმაზარ დედამიწის ზურგს უხვი ნათელი და მხურვალე სითბო...

ოო! რომ იცოდეთ რა ლამაზი და თვალ წარმტაცია ჩემი წინამორბედი შუქურ-ვარსკვლავი... ვინ არ გინდათ, რომ გულის ფანცქალით არ ელოდებოდეს მას, როგორც მახარობელს დღის მნათობისას. მხოლო სიბნელის მოციქულნი კრთებიან მისი დანახვით... ღამის ბუ-ჭოტები და მიკიოტები ძველ ციხე-კოშკების ნანგრევებში იმალებიან..

გადმოვდგები თუ არა ბუმბერაზ მთების მწვერვალზე მთელი ჩემი ძლევა მოსილი ბრწყინვალებით, ყველაფერი იღვიძებს, ხალისდება, ცოცხლდება ..

ფრინველების მეფე, არწივი მძლავრ ფრთებ გაშლილი, მოფრინავს მაღლა ჰაერში; ხან უძრავად შეჩერებული მიცქერის და სტკბება ჩემი მომხიბლავი მშვენიერებით... ნამცვრევ ველში ყვავილები სურნელების ფშვენით მეგებებიან. .

წყაროები ნეტარების კისკისით მიმღერიან საგანგებო ჰიმნს...

მამლაყინწა ხომ ისეთი რიხით შემოძახებს თავის ყიყლიყოს თითქოს მე ამოვეყვანე მას...

საუკეთესო ჩემი მგალობელი ტოროლაა... ირაჟრაჟებს თუ არა, მაშინათვე შეიფრთხიალებს და ხმა ტკბილი წკრიალით მაძლევს სალამს...

მთლად დედამიწა მკერდსა შლის და გულში იხუტებს ჩემს ნარნარ სხივებს...

სირთა სამეფო ზევსურს მიგალობს... მგოსანიც მხოლოდ მე მიჟღერს ფანდურის სიმებს...

იმისი სიმღერა ნაზი როგორც პირველი სხივი, წრფელია, ვით ბავშვის გრძნობა...

...მე დღის მეფე ვარ, მზე დიდებული.. სალამი თქვენდა!..

გ. ქუჩიშვილი

ჯეკი.

ცეცხლის მჭრელი რაზმის ძაღლი.



მოთხრობა.

ერთ ქალაქის მახლობელ ადგილას, სუფთა ქვიტ კირის შენობაში, ცეცხლის საქრობელი მანქანა № 33 იდგა. მანქანა ისე ბრჭყვიალებდა, რომ ყველა საგანი თითქოს სარკეში მოჩანდა. მანქანასთან ახლოს ცხენების მოსართავებიც ლურსმებზე იყო ჩამომწკრივებული. მთელ შენობაში სამაგალითო სისუფთავე სუფევდა. კარ-მიდამო მშვენივრად დაგვილ-დაწმენდილი იყო. იქვე გვერდით საჯინიბეში სამი ნაცრის ფერი, დიდრონი, კარგად მოვლილი და ჩასუქებული ცხენები ება. ესენი ისე შეჩვეული იყვნენ, რომ ზარების დარეკის უმალვე, თავის საჯინიბოდან გამოვიდოდნენ, მანქანას წინ დაუდგებოდნენ და დაუზარებლივ გაექანებოდნენ იმ ადგილისაკენ, საითკენაც გარეკავდნენ.

აქ, ამ ადგილას მცხოვრები ბავშვები აღტაცებით შეჰყურებდნენ მანქანას, ცხენებს და რაზმელების ბრჭყვიალა რკინის ქუდებს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მთელ ქალაქში ამაზე უკეთესი მანქანა არ მოიპოვებოდა. ერთმა ბავშვმა ლექსიც კი შესთხზა.

მარტო ბავშვები კი არ ამაყობდნენ ამ მანქანით, ამავე აზრისა იყო მჭრობელი რაზმის ძაღლი—ჯეკი. რა გასაკვირველია? ეს მანქანა ხომ ჯეკის საკუთრება იყო? გესმის, იმისი საკუთრება! ჯეკი აქ ცხოვრობდა, ყოველ ცეცხლის გაჩენაზე

მანქანას ეკან მისდევდა და, როგორც კი ზარებით ცეცხლის გაჩენას ანიშნებდნენ, გვერდით ამოუდგებოდა მანქანას და გარბოდა

ზამთარში ჯეკს ჰატარა მარხილში შეაბამდნენ, მარილს აზიდვინებდნენ და გაყინულ ლულების გარშემო აყრიდნენ, რომ საჭიროების დროს წყალი არ გაყინულიყო და თავისუფლად ედინა.

ჯეკი უბრალო ჯიშის ძაღლი იყო. დიდი, ღონიერი, თეთრ ბალნიანი, დიდრონი შავი წინწკლებით. ვინც კი ჯეკს იცნობდა, ის არც იმის ჩამომავლობას და არც იმის აღზრდას არ კითხულობდა. ყველას უყვარდა იმისთვის, რომ ის ჭკვიანი და კეთილი იყო. ბავშვები, როგორც მანქანით, ისე ჯეკითაც ამაყობდნენ.

—

ცივი ზამთრის საღამო იყო. მთელი დღე საშინელი მკაცრი ქარი ჰქროდა. ისე საშინლათა თოვდა, რომ მთელი არემარე დაიფინა. ბინდისას ქარი ჩადგა და ყინვა და სიცივე დაიჭირა

ამისთანა დარში გარეთ გამოსვლა ძნელია. ცეცხლის ეჭრობელ რაზმის შენობაში კი ისე მყუდროა და თბილა. ქვემო სართულში გაკრიალებული მანქანა № 33 სდგას, ცხენები თავიანთ საჯინიბეში მოსვენებით ბზეს შეექცევიან, ხანდისხან ზოგი იმათგანი თავიანთ ჩლიქებით თუ დაარღვევდნენ ხოლმე ამ სიჩუმეს.

ესეთივე სიჩუმე და სიწყნარე იყო ზემო სართულშიაც, სადაც მოსამსახურეები ცხოვრობდნენ. ზოგი კითხულობდა, ზოგი ჩუმათ ბაასობდა. ერთი ახალგაზრდა მოსამსახურე კი

ჯეკს ეთამაშებოდა და სხვა და სხვა ოინბაზობას აკეთებინებდა.

როგორც კი ჯეკმა სთქვა, რომელ მანქანას ემსახურებოდა, (რასაკვირველია ამას სიტყვით ვერ გამოსთქვამდა, რადგან ჯეკმა ლაპარაკი არ იცოდა), როდესაც ცეცხლის მანქანების სხვა და სხვა ნომრებს ჩამოუთვლიდნენ, ძაღლი გაჩუმებული და მოსვენებული იდვა, მაგრამ ოცდა ცამეტ რიცხვს წარმოსთქვამდენ თუ არა, ის მხიარულათ ხტომას და ყეფას დაიწყებდა როგორც კი ჯეკმა უპასუხა, ზარების რეკა მოისმა, ყველა მოსამსახურენი წამოცვივდნენ ზეზე და ძირს ჩაცვივდნენ. ჯეკი ყველაზე წინ მირბოდა.

რამდენიმე წუთში მანქანა ქუჩაში მიჰქროლავდა. ჯეკი წინ მირბოდა და გამწარებული ჰყეფდა, გამვლელ—გამომვლელს ამცნევდა, რომ გზიდამ ჩამოსცილებოდნენ მანქანას.

როდესაც ცხენები დალმართს დაეშვნენ, ჯეკი გაჩუმდა და ჩაფიქრებული ცხენებს გვერდით მოსდევდა.

საშინელი ცივი ღამე იყო. მანქანის ბორბლებს ჭახაჭუხი გაჰქონდა გაყინულ დედა მიწაზე. მქროლელი რაზმის საყვირი ამ ცივ მოკრიალებულ ღამეში შორს გაისმოდა.

მანქანა სახლების წინ რომ მიდიოდა, ძაღლების ყეფა გამოისმოდა, მაგრამ ამ სიცივეში ისინი გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდნენ; მხოლოდ ატყობინებდნენ, რომ იმათ კარგათ იციან, რომ ჯეკი თავის მოვალეობის ასასრულებლად მიდის და რომ ყველა ძაღლი შენატრის მას.

—

ცეცხლი გაჩენილიყო ქალაქის განაპირას ვიწრო ქუჩაში, სადაც ღარიბი ხალხი სცხოვრობდა და სახლები ერთი ერთმანეთზე იყო მიჭუჭყული.

მანქანა იმ სახლთან შესდგა, საიდამაც ბოლი ამოდიოდა. მოსამსახურენი უცბათ გადმოხტნენ და ლულები გაუკეთეს მანქანის წყლის საცობს. ჯეკი კი დამშვიდებული ბოლთასა სკვემდა, თითქოს ათვალიერებდა ყველა რიგზე არის თუ არა, ნახა ცხენები თავ-თავის ადგილას იდგნენ, ფეხები ერთმანეთს მაგრათ მიეკვრათ, როგორც ყოველთვის სიცივეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებათ აქვთ. ზურგზე თბილი ნაბდები ჰქონდათ გადახუ
რული. წყალი, რომელიც ლულიდამ გადმოდიოდა, ეაყინუ-
ლიყო. ჯეკსაც სცივა, ეტყობოდა ინისი ქურქი ვერ ათბობ-
და, კანკალებს. მაგრამ დროს არ ჰკარგავს, როგორც კი და
ინახა, რომ მქრობელი რაზმი სახლთან მოვიდა, ჯეკიც შეჰ-
ყვა შიგ. სახლიდამ შავი ბოლი ამოდიოდა.

მცხოვრებლები სარკმელიდან ლოგინსა და სხვა და სხვა
ნივთებსა ჰყრიდენ და ბარგი ზურგით გამოჰქონდათ ქუჩაში.
შეშინებული და მტირალი ხალხი თავიანთ მცირე ბარგს მო-
ხვეოდნენ, სიცივისაგან კანკალებდნენ, შიშისაგან რიგიანათ
ტანთ ჩაცმა ვერ მოესწროთ. ძუძუ მაწოვარი ბავშვები ტიროდ-
ნენ. ზოგნი ქუჩაში მოგროვილ ბარგში იმალებოდნენ.

საქრობ მანქანის მოსამსახურეები, როგორც ნაბრძანები
ჰქონდათ, ჯერ სახლის სახურავზე ღნდა ასულიყვნენ თოკის
კიბით ადიან და თან წყლის ტყავის შხაპუნას მიათრევენ. თან
და თან უფრო უძნელდებათ ზევით ასვლა, ბოლი თვალებს
სწვამს, ამოსუნთქვა უძნელდებათ, სარკმლებს აღებენ, რომ
სუფთა ჰაერი ჩაჰყლაპონ. ერთმა ვერ აიტანა და გულ შეწუ-
ხებული დაეცა, ამხანაგებმა სარკმელთან მიათრიეს

ჯეკი ფეხ და ფეხ მისდევს. ძლივს ზემო სართულამდის
მიაღწიეს. აი სახურავზე ასასვლელი კარებიც გაჩნდა. ჯეკი
ერთ ფიცრულ ოთახთან შესდგა, კუდს იქნევს, ყნოსავს და
მერე კარებს მივარდება. კარი დაკეტილია, ფხაჭნი დაუწყო,
ყეფავს და ღმუის.

მქრობელებმა ნახეს, რომ საცა ჯეკი მიადგა უბრალო,
უსარკმლო საკუჭნაოა, სახურავის კიბის ქვეშ. რასაკვირველია
რომ აქ ადამიანის ძე არ იქნებოდა, მაგრამ ჯეკი მაინც არ
შორდება, ფხაჭნის და ყეფს. უთუოდ რამე ამბავია, ორემ
ჯეკი ასე ტყუილ უბრალოთ არ ასტეხდა ყეფას.

ერთმა მქრობელმა კარები შეამტვრია.

ბოლისაგან და სიბნელისაგან ვერაფერი გაერჩიათ. ჯეკი
ერთ კუთხეს ეცა და დიდის წვალებით კარებისაკენ რალასაც
მოათრევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქრობელებმა დაიღუნეს და ბავშვი დაინახეს

ახალგაზრდა მქრობელმა, რომელიც წინეთ ჯეკს ითამაშებდა და სხვა და სხვა ოინბაზობას ასწავლიდა, ბავშვი აიყვანა. ეს იყო ექვსი შვიდი წლის პატარა ბიჭი, მაგრამ ძალიან გამხდარი და სუბუქი; უთუოდ ბოლოსაგან და საკუჭნაოს შემხუთავ ჰაერისაგან გული წასვლია. ბავშვი მკვდარივით გადისვენა მკლავზე

მეორე ამხანაგები სახურავზე ავიდნენ და ეს მქრობელი კაცი ბავშვით ძირს ჩამოვიდა, ჯეკი უკან მოსდევდა.

ბოლოს მქრობელი კაცი მომაკვდავი ბავშვით ქუჩაში გამოვარდა, საცა ხალხი იყო.

— ვინ ღატოვა საბლში ბავშვი?—უკმეხათ ჰკითხა იქ მოგროვილ, სიცივისაგან აკანკალებულ ხალხს. — ვისი ბავშვია?

ყველანი გაჩუმებულნი იყვნენ. პატარა ხანს უკან კიდე გააგრძელა კითხვა.

— განა შესაძლებელია იმისთანა ცივ და ბნელ საკუჭნაოში ბავშვის ჩაკეტვა? შეუბრალებლებო, უგულოებო!

— ღუღურეთ,— ეს ხომ ის ბრმაა: მე სრულიად გადამავიწყდა, სთქვა ერთმა იქ მდგომმა.

— ამისთანა დროს ბავშვის დავიწყება დიდი ცოდვაა,— სთქვა მქრობელმა კაცმა.

— ეგ ჩვენი არ არის, — სთქვა იმავე კაცმა.

— მაშ როგორ მოხდა, რომ იქ კიბის ქვეშ გაჩნდა? ჰკითხა მქრობელმა, — ჩვენ რომ თან ძალლი არა გვყოლოდა, საცოდავი ბავშვი ხომ დაიღუპებოდა?

უთუოდ ბავშვებს გამოჰყვებოდა, უპასუხა იმანვე. — მე რომ მენახა, რასაკვირველია უპატრონებდი.

— ცივმა ჰაერმა, მოასულიერა ბავშვი. ის გაინძრა და დაიკვნესა.

— ეს სულ ბოლის ბრალია,—გამოელაპარაკა მას ცეცხლის მქრობელი—როგორ არის შენი საქმე, უკეთა ხარ?

— დიახ, — უპასუხა სუსტის ხმით ბავშვმა, მაგრამ ფეხზე წამოდგომა ვერ შესძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა, მე შენ კარგა დაგაბინავებ, — უთხრა ისევ ცეცხლის მქრობელმა და მანქანისაკენ წაიყვანა.

აქ რამდენიმე ცხენის გადასაფარებელი ნაბადი იყო, ერთში ბავშვი კარგა თბილათ შეახვია და მანქანის წინ დააწვინა.

— აბა ჯეკ, გაუფრთხილდი ამ ბავშვს, უთხრა და თითონ თავის ამხანაგების საშველათ გაექანა.

ეროგულმა ძაღლმა ნაღვლიანათ შეხედა ცეცხლის მქრობელს. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ის ჩამორჩა თავის ამხანაგებს. ღრმად ამოიოხრა, მანქანისაკენ მობრუნდა, ზედ შეახტა და ბავშვის ფეხთ წამოწვა.

ბავშვი ნაბადში თავიდამ ფეხებამდინ გახვეული იყო. ბავშვი გაუნძრევლივ და ჩუმათ იწვა. პატარა ხანს უკან ჯეკი წამოხტა, ბავშვს მიუახლოვდა, ნაბადის ქვეშ ცხვირი შეჰყო, დარწმუნდა, რომ ბავშვი ცოცხალია, იმას უკვირდა, რომ ისე მოსვენებულად და ჩუმათ იწვა, უთუოდ სცივა და იმიტომ არის ასე გარინდული. ჯეკი გვერდით მოუწვა და ისე მიეკვრა, რომ თითქოს იმის გათბობა უნდოდა, კარგა ხანს ჯეკი გაუნძრევლივ იწვა ერთ ადგილას, მაგრამ არ ეძინა, სიცივისაგან კანკალებდა; ცხენებიც თავ ჩაღუნულნი იდგნენ, მარტო მანქანა მუშაობდა და ორთქლს ისვრიდა.

ცეცხლი მოისპო, ნაპერწკალი აღარსად არ მოჩანდა, მარტო სახლიდან ბოლიდა ამოდიოდა. ჯეკმა იცოდა, რომ აგერ საცაა ცეცხლის მქრობელებიც მოვლენ მართლაც ისინიც მალე გამოჩნდნენ გაჭვარტლული და გარუჯულები. სახლში დაბრუნების მზადებას შეუდგნენ. ჯეკი თავისუფალი იყო.

მქრობელებმა ბავში თან წაიყვანეს, იქ დატოვება შეუძლებელი იყო, რადგან ამ სახლის მდგმურებიც კი უსახლკაროთ დარჩნენ. ამათ გადასწყვიტეს, რომ ამაღამ ბავშვს თავიანთთან დასტოვებენ და ხვალ რომელიმე საბავშვო თავშესაფარში მიაბარებენ. ჯეკიც სახლში წავიდა. ახალგაზრდა მქრობელმა, რომელმაც ცეცხლიდამ ბავშვი გამოიყვანა, თავიანთ ოთახში შეიყვანა, ნაბადი მოხსნა და სკამზე ჩამოსვა.

— აბა ეხლა ერთმანერთი გავიცნოთ, ვნახო, როგორი

ბიჭი ხარ, სთქვა ახალგაზრდა, სასიამოვნო სახის და კეთილმა ცეცხლის მჭრობელმა.—როგორა ხარ?

— ძალიან კარგად, უპასუხა ბავშვმა.

— კეთილი. მეც ეგ მინდა, უპასუხა აგალგაზრდა მჭრობელმა.

მაგრამ ბავშვი კარგა მყოფს არ ჰგვანდა. ფერმკრთალი და გამხდარი იყო. რალაც ნაირათ გაიყურებოდა, ისე არა, როგორც ყველა თვალხილული ბავშვები.

— განა შენ ვერა ხედავ? აბა შემომხედე?—დაეკითხა ისევ მჭრობელი,

— მე მარტო ოდნავ ვხედავ, ისიც ხოლო სანთელზე და მზის სხივებზე,— უპასუხა ბავშვმა.

— უთუოდ ძალიან მშიერი ხარ? ჰა?

— არა, უპასუხა ბავშვმა

— ვახშამი გიჭამია?

— არა, ვახშამი არ მიჭამია, სთქვა ბავშვმა.

— სადილი?

— არა, დღეს სადილიც არ მიჭამია.

— როგორ, სადილიც არ გიჭამია? წამოიყვირა ახალგაზრდა მჭრობელმა.—მაშ როდისლა სჭამდი?

— მე მაშინ ვჭამდი, როდესაც ბავშვები თავიანთ მონარჩენ საუზმეს მომიტანდნენ ხოლმე. მე იმათ ვებრალებოდი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო,—წამოიყვირა მჭრობელმა.—ეს რა ამბავია, მოიცადე, ჩემ მოსვლამდის არ გაინძრე.

მჭრობელი საჩქაროდ კარში გამოვარდა, თითქოს ზარები ცეცხლს ანიშნებდნენ.

რამდენიმე წუთში დაბრუნდა და თან ქაღალდში გახვეული აუარებელი საჭმელი მოიტანა. აქ თეთრი პური, კარაქი, ყველი და ერთი ბოთლი რძე იყო. ყველაფერი მაგიდაზე დაალაგა და ბავშვს წინ დაუწყო.

— აი ჯერ ეს შეჭამე,—უთხრა ბავშვს და ხელში კარაქ წაგლესილი პური და ყველი ჩაუდო.

— გმადლობთ,—უთხრა სუსტის ხმით ბავშვმა.

— შენ გინდა, რიორდან, რომ ბავშვმა რაც მოიტანე, სულ ერთბაშად შესჭამოს? — ჰკითხა ერთმა მქრობელთაგანმა.

— მაშ მთელი დღე საცოდავს არაფერი არ უჭამია, მერე როგორ ცივა, დაე შეჭამოს, უპასუხა რიორდანმა.

— ერთბაშად რომ ბევრს აჭმევ, ხომ აწყენს და მოკვდება? უნდა ცოტ-ცოტათი შეეჩვიოს ჭამას, ხედავ, რომ ბავშვი დამშეულია და დამშეული ნელ-ნელა ჭამას უნდა შეეჩვიოს.

რიორდანმა დაუჯერა ამხანაგს, ბავშვს კიდევ ერთი ნაჭერი პური და რძე მისცა და დანარჩენი ერთმანერთში გაინაწილეს და ჯეკსაც უთავაზეს. ოთახის კუთხეში საწოლი გაუმართეს, დააწვინეს და თბილათ დახურეს. ბავშვს რბილი და თბილი საწოლი ისე მოეწონა, რომ ტკბილად ჩაეძინა.

ჯეკი გვერდით უჯდა და არ შორდებოდა.

— ნეტაი ვიცოდე, ეხლა ჯეკი რაზე ფიქრობს, სთქვა ერთმა მქრობელთაგანმა.

— უთუოთ იმაზე ფიქრობს, თუ ბავშვი როგორ დააბინაოს და ის ჯერ ამ საგანს გადასწყვეტს და მერე დასაძინებლათ წავა, — სთქვა რიორდანმა

ჯეკი გულ მოდგინეთ ყურს უგდებდა ამათ ბაას და რამდენჯერმე კუდი იატაკს დაარტყა, თითქოს ამბობდა:

— რასაკვირველია, რომ მაგრეა.

II.

მეორე დღეს ყველა ცეცხლის მქრობლები ადგნენ და ბავშვს კი ჯერ ეძინა. დღისით ბავშვი უფრო ფერმკრთალი და გამხდარიყო. იმის ჩაცვინული ლოყები და თვალების გარშემო შავი ზოლები, რაღაც სიბრალულს უღვიძებდა ყველას.

— ძალიან მეცოდება ამ ბავშვის სადმე გაბარება, ისე გამხდარი და დასუსტებულია, მოდი ჩვენთან დავიტოვოთ. იქნება ცოტათი მოკეთდეს და ფერი მოუვიდეს და მერე ისე გავაბაროთ, სთქვა რიორდანმა.

— როგორ მოვახერხოთ? განა შესაძლებელია ბავშვის მოვლა და ცეცხლის უკან სირბილი, — სთქვა კაპიტანმა.

— ჩვენი საქმე ამით არ შეფერხდება, იძახდა რიორდანი. ბავშვი პატარა არ არის. თითონვე თავის თავს მოუვლის. ამასთანავე ბრმაც არის, რა მოვლა სჭირია? ჭამითაც იმდენს რას შესჭამს, რომ ჩვენ ჯიბეს ავნოს.

— კარგი, დასტოვეთ, შეინახეთ რამდენიმე დღე, დასთანხმდა კაპიტანი და აი მიიღეთ ჩემგან წვლილი იმის შესანახათდა ქალალდის ფული გაუშვირა.—ჩვენ ყველანი შევინახავთ; აბა, ჯეკ, ქუდი აიღე და ჩამოატარე.

ჯეკმა პირში ქუდი აიღო და ჩამოატარა, ყველანი ქუდში ფულებსა ჰყრიდნენ.

— რიორდანს ჩავაბაროთ გამგებლობა,—სთქვა ერთმა მქრობელთაგანმა.

— აი, იმდენი ფული მოგროვდა, რომ კარგა ხანს ეყოფა. სთქვა რიორდანმა და ფულები გააჩხაკუნა.

— თუ შეიძლებოდეს, მაჩვენეთ პირი სად დავიბანო.— ერთხელ რაკი მიჩვენებთ, შემდეგში მე თითონ მივაგნებ ხოლმე,—მოისმა ნაზი და სუსტი ხმა.

— აქეთ, აქეთ, ბავშო,—უპასუხა რიორდანმა, ხელი მოჰკიდა და მიიყვანა იქ, საცა ყველანი პირს იბანდნენ. აი საპონიც აქ არის.—მინამ შენ პირს დაიბან, მე წავალ და საუზმეს მოგიტან

— რატომ თან არ წავიყვანთ,—სთქვა ერთმა მქრობელთაგანმა.

— არა, არა,—მიუგო რიორდანმა,—გარეთ ძალიან ცივა და ხედავთ, როგორ აცვია. მოვიცადოთ, სანამ თბილს და კარგ ტანთსაცმელს უშოვნით. არა, მე აქ მოუტან საუზმეს. სანამ ეს აქ შესჭამს, ჩვენ წავიდეთ და იქ ვისაუზმოთ.

— როცა უკან დავბრუნდებით თავისი ამბავი გვიამბოს, სთქვა მეორემ

ბავშვმა პირი დაიბანა, თავი დაივარცხნა და თავისი ძონძი ტანისამოსი გაისწორა. ცეცხლის მქრობლებმა ბავშვი მაგიდას მიუსვეს, საჭმელი დაუდგეს და თითონ საუზმისათვის წავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გემრიელი ეჩვენა საცოდავს ეს მცირე საჭმელი, რომელიც ერთი ჭიქა ყავისაგან და ერბოიანი პურისაგან შესდგებოდა. დღეს მისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. რამდენიმე კვირაა ხმელი პურის მეტი, ისიც თუ კი იშოვნიდა, არაფერი არ უჭამია.

როდესაც ბავშვი მადიანათ საუზმეს შეექცეოდა, იმისი ყურადღება რაღაც შრიალმა მიიქცია.

— ჯეკ აქა ხარ?,—ჰკითხა პატარა ვაჟმა.

ჯეკი წამოხტა და ხელები აულოკა.

— ჩემო კეთილო, კარგო ჯეკ! სთქვა ბრმამ და ძაღლს მოეხვია, შენ რომ გუშინ არ ჩამხუტებოდი და არ გაგეთბე, უთუოდ გავიყინებოდი; —აი ჩემი წილი საუზმე, მე მაინც სულ ვერ შევჭამ, უთხრა და კარგა მოზრდილი კარაქიანი პური გაუშვირა ძაღლს.

ჯეკმა დიდის მოწიწებით ჩამოართვა და თითქოს ეუბნებოდა: ისევ სჯობია შენ თითონ შესჭამო, მაგრამ მაინც გამოართვა, რომ ბავშს არ ეწყინოსო.

— რა ნაზათა სჭამ, ჯეკ? უთხრა ბრმამ—უთუოთ შენ არ მოგწონს ისე, როგორც მე. უყურე აქ კარაქიც აცხია. შენ უთუოდ კარაქი გეყვარება?

ჯეკს ჯერ პური არც კი შეეჭამა, რომ ცეცხლის მქრობელები შემოვიდნენ.

— ჯეკს რატომ აჭმევ? ჩვენ მაგას ჩვენი საუზმის მონარჩენი მოუტანეთ. მაგას ეს უფრო მოსწონს, საუზმე როგორ მოგეწონა?

— ძალიან გემრიელი იყო,—უპასუხა ბრმამ, მაგრამ ჯეკი იმისთანა კეთილია, რომ მინდოდა რამე მეთავაზებინა.

— შენ მაგაზე ნუ შესწუხდები,—სთქვა ერთმა მქრობელთაგანმა.—ჩვენ ჯეკს კარგად უვლით. ამის თქმაზე ქაღალდი გადაშალა და ძაღლს წინ ხორცი და ძვლები დაუყარა.

— ეხლა რაკი ცოტათი მოლონიერდი, გვიამბე შენი ამბავი,—უთხრა ამ დროს შემოსულმა კაპიტანმა.

— კარგი,—უპასუხა ბავშვმა.

— აბა, უთხრა კაპიტანმა, როდესაც ნახა რომ ბავშვს

ამბის დაწყება ეძნელება, — საიდანა ხარ? რა გქვიან? დედ-მამა გყავს თუ არა?

— მე ვილიამი მქვიან, უპასუხა ბავშვმა. — ვილიამ ბლეკი. მამა არა მყავს. ის ხომალდით ზღვაში მოგზაურობდა. ხომალდი დაიღუპა და ისიც იმასთან ერთად.

— დედა გყავს? გააგრძელა გამოკითხვა კაპიტანმა

ბავშვი ჩაფიქრდა. აღელვებით ტუჩები აუკანკალდა, უნდოდა ეპასუხნა, ხელები ბრმა თვალებზე მიიფარა და ატირდა. მოინდომა ცრემლი შეემაგრებინა, მაგრამ როგორც ეტყობა, იმისი მწუხარება იმდენად ძრიელი იყო, რომ ვერ მოითმინა. ეს მოუხეშავი, გულადი ცეცხლის მქრობლები, რომელნიც ყოველ წამს მზად იყვნენ შუა ცეცხლში ჩაცვინულიყვნენ და ადამიანის დასახსნელად თავსა სწირავდნენ, ამ ბავშვის მწუხარებაზე ისე დაიფანტნენ, რომ არ იცოდნენ რა ეთქვათ.

— მაშ დედა შენიც მოკვდა? ჰკითხა კრძალვით კაპიტანმა.

— არა, არ ვიცი, არა მგონია, იძახდა ქვითინით ბავშვი.

— მაშ იცი სად არის?

— არა, არ ვიცი, უპასუხა ბავშვმა. — ის უცბად დაეცა.. ლაპარაკი აღარ შეეძლო, განძრევის ღონე აღარა ჰქონდა.. ეტლში ჩასვეს და სადღაც წაიყვანეს...

— იქნება იცი, სად წაიყვანეს?

— არა, მე იმათ არაფერი არ მითხრეს.

— განა იქ არავინ არ იყო რომ შენთვის მოევლოთ?

— არა, მე იქ არავინ არ მიცნობდა.

— მაშ რას აკეთებდი? სად წახვედი?

— არ ვიცოდი სად წავსულიყავი. ვიღაც ბავშვები მიდიოდნენ, მტირალი რომ დამინახეს, მითხრეს, რომ იციან იმისთანა ადგილი, სადაც დედაჩემის დაბრუნებამდი, შემიძლია დავრჩე. ხელი დამიჭირეს და აი იმ საკუჭნაოში მიმიყვანეს.

— ამ საშინელ სიცივეში იქ როგორ არ გაიყინე?

— ბავშვებმა თბილი დასახურავი მომიტანეს, მერე სადღაც თივა იშოვნეს და ძირს დამიგეს მე თან და თან შევეჩვიე და აღარ მცივდა.

— უთუოთ, ამისი დედაც საავადმყოფოში იმათ წაიყვანეს, — სთქვა კაპიტანმა, — თუ ჯერ არ...

იმან სიტყვა არ დაამთავრა. ბავშვთან თქმა ვერ გაბედა, რომ იქნება კიდეც მოკვდა უბედური.

— კარგი გეყოფა, ნუ სტირი, — განაგრძო მან. ყველაფერს მოვაწყობთ. დედა შენს ვიპოვნით და შენზედაც ვიზრუნებთ.

— აქ ბავშვის შენახვა დიდხანს არ შეიძლება, — სთქვა კაპიტანმა. — სამ-ოთხ დღეს თუ დავტოვებთ, მერე კი რომელიმე თავშესაფარში უნდა მივცეთ. იქნება იმათ დედაც მოუძებნონ; ეს იმათი საქმეა და არა ჩვენი.

ცეცხლის მქრობელებმა ბუტბუტი დაიწყეს, კაპიტანის სიტყვებმა ყველა ააღელვა და უგულო კაცათ ჩათვალეს. როდესაც მეორე დღეს კაპიტანმა რაღაც ბოხჩაში გამოკრული მოიტანა, დააგდო და ჩვეულებრივ წამოილუღლუღა: ეს ბავშვისთვინაა, ყველამ თავიანთი აზრი შესცვალეს. ბოხჩაში თბილი ტანისამოსი, წინდები, ქუდი და სხვა ჩასაცმელი ეწყო.

ე. ბ. ბ ე ს ხ ი ს ა.

(შემდეგი იქნება).



[illegible]

19 თებერვალი,

ბატონ-ყმობის გაუქმება.

ბატონყმობა ჩვენში.

ბატონ-ყმობა ჩვენში ძველადგანვე იყო; ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი იყო და თავისი საკუთარი მეფე ჰყავდა. ყოველს დიდ გვარიშვილს თავადს, ან დიდებულს ჰყავდა ყმები. ხშირად რამოდენიმე სოფელი და მთელი ხეობაც ერთს რომელსამე დიდებულს ეკუთვნოდა ამ სოფლებში და ხეობაში მოსახლე გლეხები ემორჩილებოდენ თავისს ბატონს. ეს მორჩილება გამოიხატებოდა იმაში, რომ გლეხი ვალდებული იყო თავისი ბატონისათვის მიწა მოეხნა, სარჩო მიეწოდებია ყმა თავის ბატონს ყველაფერში ემორჩილებოდა: ბეგარას იხდიდა, მტერს ეომებოდა, ციხეს აშენებდა. ყმები ყოველთვის მზად იყვნენ ციხე აეშენებიათ, რადგან კარგად გრძნობდენ, რომ ციხე-სიმაგრე შენდებოდა არა მარტო მათი ბატონის—დიდებულ თავადის—დასაცავად, არამედ მათი ოჯახების შესაფარებლად შიშიანობის დროს. მაშინ ისეთი დრო იყო, რომ საქართველოს აუარებელი მტერი ერტყა ირგვლივ, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა; შემოესევოდა და ააოხრებდა ხოლმე;

ხშირად მტერი ქართველებს ტყვეთ წაიყვანდა ხოლმე; უფრო-კი ახალგაზრდა ქალებსა და ვაჟებს.

საზოგადოდ ჩვენში, სანამ საქართველო დამოუკიდებელი იყო, დამოკიდებულება ბატონსა და ყმის შორის მკაცრი ხასიათისა არ იყო. იმ დროის მებატონე, რომ კიდეც ცდილიყო თავისი ყმა დაეჩაგრა, ამას ვერ შესძლებდა, იმიტომ რომ ყოველი მოთხოვნილება ბატონისა თავისი ყმისადმი. განსაზღვრული იყო ადათით, ანუ ჩვეულებით. ეს ჩვეულების კანონი მამიდან შვილზედ, ერთ თაობიდან მეორე თაობაზედ,



ქალაქ თელავი.

გლეხთა განთავისუფლების მანიფესტს უკითხავენ ხალხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადადიოდა და მისი გადახვევა არავის არ შეეძლო. ყველას ძვალ-რბილში გამჯდარი ჰქონდა მისი პატივისცემის გრძნობა. აი ამ ადათით დაწესებული იყო, თუ რა უნდა ეძლია გლეხს თავისი ბატონისათვის. განსაზღვრული იყო თუ რამდენი დღე თვეში უნდა ემუშავნა გლეხს თავისი ბატონისათვის, რამდენი პური, ღვინო, სასუქი, ქათამი, კვერცხი უნდა მიეცა მას თავისი მფარველ თავადისათვის.

ამგვარად, საქართველოში ქართველ ერის დამოუკიდებლობის დროს, ბატონ-ყმობას შედარებით რბილი ხასიათი ჰქონდა.

სულ სხვანაირად წავიდა ქართველ ყმების საქმე, როდესაც ჩვენში რუსეთის მთავრობა დამკვიდრდა, ესე იგი XIX საუკუნეში. მაშინ ჩვენმა თავად-აზნაურობამ ევროპიულ ცხოვრებას ალლო აუღო.

ახალი პირობები, ფუფუნება, ბალები, საღამოები,—ყველაფერი ეს ითხოვდა დიდს ხარჯებს. ეს ზედმეტი ხარჯები ბატონმა ყმისაგან მოითხოვა. ამან ბატონსა და ყმას შორის სიძულვილი ჩამოაგდო, ყმას მეტი შრომა დააწვა, წელში მოხარა; ასე რომ ჩვენშიაც სწორედ ისეთივე ხასიათის ბატონ-ყმობა დამყარდა, როგორიც იყო მაშინ რუსეთში. ხოლო რუსეთში კი მაშინ ბატონ-ყმობას ძალიან სასტიკი ხასიათი ჰქონდა. იქ ყმა სრული საკუთრება იყო თვისი ბატონისა. ბატონი უნდა გაყიდიდა თავისს ყმას, უნდა დააგირავებდა, თუნდ აჩუქებდა, ან და კიდევ მზითვად გაატანდა თავისს დას, ან ქალიშვილს. ყმას არაფერი საკუთრება არ ჰქონდა, ყველაფერი ყმისა: მიწა, სახლი და სხვა ბატონის საკუთრებას წარმოადგენდა.

ჩვენშიაც ყმა გადაიქცა ბატონის სრულ საკუთრებად.

ჩვენმა მეცხრამეტე საუკუნის ნიჭიერმა მწერლებმა აგვიწერეს დამოკიდებულება ბატონსა და ყმებს შორის. დან. ჭონქაძემ თავის „სურამის ციხე“-ში, (მოგვყავს აქვე მისს წიგნიდან „ოსმან-აღას თავგადასავალი“) ილ. ჭავჭავაძემ „გლახის ნაამბობში“ და პოემაში „კაკო ყაჩაღი“, აკაკიმ და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ნათელ ჰყვეს ყველასთვის, თუ რა გამწვავებული იყო მაშინ დამოკიდებულება ბატონსა და ყმებს შორის, თუ რა ზომამდე აღწევდა ბატონის თავგასულობა თავის ყმების დარბევაში.

შემდეგ, როდესაც 19 თებერვალს, 1861 წელს ხელმწიფის ალექსანდრე II-ს ნებით, რუსეთის გლეხები განთავისუფლებულ იქნენ, ქართველ გლეხების განთავისუფლების ჯერიც დადგა. ქართველ გლეხების განთავისუფლება მოხდა ტფილისის გუბერნიაში ცალკე და ქუთაისისაში ცალკე. ტფილისის გუბერნიაში გლეხების განთავისუფლება გამოცხადდა სამი წლით უფრო გვიან, ვიდრე რუსეთში, 8 ნოემბერს 1864 წელს, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 13 ოქტომბერს შემდეგ 1865 წელს; კერძოდ სამეგრელოში გლეხების განთავისუფლება მოხდა 1 დეკემბერს 1866 წელს.

№

ოსმან-აღას თავგადასავალი *).

— ყმაწვილო, თქვენი სახელი?

— დურმიშხან.

— დიახ დურმიშხანი, საარაგვოზე გივლიათ როდისმე?

— არა, არსად.

— მაშ შენ არ გინახავს ერთი მშვენიერი ქვეყნის კუთხეთაგანი, ჩემთვის მაინც! ამ საარაგვოზედ, ზედ არაგვის პირზე, ბოდორნას და ნაოზას შუა, არაგვის გალმა არის სოფელი გ. ეს სოფ., თითონ პატარა, სჩანს დიდი თავის ვენახებით. ამ სოფელში, რომელიც არის სახასო, იდგა მამა-ჩემიცა, ჩემ საუბედუროთ ბატონის ყმა, თითონ მხნე, მყოლელი ყევარი ხარ-კამბეჩისა და რამდენიმე მწველელი ძროხისა; ეგრეთვე მქონებელი სამი დღის ვენახისა. მამა-ჩემი ირიცხოდა თავ-კა-

---

*) დ. ჭონქაძის რომანიდან „სურამის ციხე“.

ცად ჩვენ სოფელში და არა დავა, ანუ სხვა რამე შესახები სოფლისა არ გადაწყდებოდა ჩვენ მეზობლებში, რომ არ დაჰკითხოდნენ ზალიკას,—ეს იყო მამი-ჩემის სახელი. ახ, რა იყო ის დრო! რა კმაყოფილებით დავუჯდებოდი ხოლმე მე ულელზე და უზრუნველად დავძახოდი ოროველას, წავიდა ის დრო, —დრო უმანკოებისა, ჟამი წმიდისა სინიდისისა და ის ყმაწვილი, რომელსაც გუთნის დედა უბძანებდა ხოლმე ოროველას მღერას და ამხანაგები შურით ისმენდნენ იმის სიმღერას, არის ოსმალოს იანიჩარის ასის თავი, მჭონეველი სიმდიდრისა, მაგრამ გასვრილი ქრისტიანის სისხლში. ახ, სიხარულით დავანებებდი თავს ყოველსავე ეხლანდელს სიკეთეს ჩემსა, რომ შეიძლებოდეს მობრუნება უწინდელი ჩემი დროსი, იმ დროსი, როდესაც ვიყავი ხოლმე დღის მეხრე და ვიღებდი ერთ ალოს. მაგრამ ბევრს ხანს არ გასწია ამ გვარმან ბედნიერებამ ჩვენმა. ერთხელ მამა-ჩემი წავიდა ძნის თავ-დალმართზე, ჩვეულებისამებრ მოუძღოდა ის ურემს წინ, რო არ დაქანებულიყო, მაგრამ ურემი დაქანდა, ხარ-კამბეჩს თავი ველარ დაუჭირა, კამბეჩებმა წააქციეს და ურემმა გაჭყლიტა. იმის სიკვდილის შემდეგ ჩვენი სახლის ყოველივე გადაბრუნდა გულალმა. ბატონმა ჯერ წაგვართო ვენახი, იმიტომ ვითომც, რომ ალარ შეგვეძლო მოვლა, მემრე თითო-თითოთ ხარ-კამბეჩი და ულანასკნელათ უბრძანა დედა ჩემს, რომ გადასხლებულ იყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედა ჩემი! უნდა გენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რა გვარათ არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა.

იტირებს, იტირებს და დაჩუმდებაო,—აი აზრი მებატონეთა; იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ არა გვქონდეს გული, არ გვქონდეს სჯა.

—დედა-შვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენი ღვთის გულისათვის, დამანებე თავი,—ეხვეწებო-

და დედა ჩემი. რა მოსამსახურე უნდა ვიყო, მე თქვენი ბატონური ცხოვრებისა არა ვიცი რა. ჩემი შვილები აქედგან უფრო გემსახურებიან, რასაც მოვიყვანთ სულ შენ მოგართმევთ, ჩვენ ნაცარს ავფშრუკამთ და იმას ვსჭამთ, ოღონდ ნუ მოგვიშლი ოჯახს. საწყალო ჩემო შვილებო!—და იმან მიგვიკრა გულზე იმ გვარათ, თითქოს ის იყო გვდებდნენ სამარეში

— ეჰ! დედა-კაცო, მე არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი, ხვალვე მზათ იყავი,—უბრძანა ბატონმა და გაიცინა იმიტომ, რომ ერთმა მწევარმა რაღაც სასაცილო ქნა.— ოჰ! რა საზარელი იყო ის სიცილი დედი-ჩემის მწუხარებასთან. მე დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშმაკი. იმისთანა დროს, მხოლოდ ეშმაკს შეუძლიან გაცინება.

რაღა მოგაბეზრო თავი ბევრი ლაპარაკით: მეორე დღეს ჩაგვყარეს ურემში და მიგვიყვანეს ბატონთან. ქალბატონთან რომ წარგვადგინეს, იმან გაგვშინჯა და გვიბრძანა, რომ მე და ჩემი და,—ერთი დაცა მყვანდა მე,—მე და ჩემი და უნდა ვყოფილიყავით პირის მოსამსახურეთ, დედა-ჩემს კი უბრძანა ყოფნა პურის მცხობლად. ასე გავატარეთ დროება თითქმის ხუთი წელიწადი. თვითონ მოსამსახურე, შენ იგრძნობ, რა ნაირ დავიტანჯებოდით იმ სამსახურში? მაგრამ ამბობენ კაცი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო. ჩვენც შევეჩვიენით ჩვენ ცხოვრებას და თითქმის ვიყავით იმითი კმაყოფილი იქნება იმიტომ რომ უარეს ცხოვრებას მოველოდით

ერთხელ მოვიდა ჩემ ბატონთან ერთი მღვდელი კახეთიდგან. ვახშამზე, რომ ვემსახურებოდი იმათ, იმ მღვდელს ჩემმა ბატონმა თვალით აჩვენა ჩემზე. მღვდელმა ამხედა ჩამხედა და ბატონს დაუწყო რაღაც ლაპარაკი ჩუმათ, არ ვიცი რათა. მაგრამ სტუმარმა რომ დამიწყო ყურება, ჟრუანტელმა დამიარა ტანში და ამეშალა თმა. გულმა იგრძნო, რომ ჩემ თავს მოელოდა რაღაც უბედურება.

მეორე დღეს ბატონმა დაიბარა დედა-ჩემი და უბძანა, რომ მოვემზადებინე მე და ჩემი და იმ ღვდლის გასაყოლათ.

—რათა, შენი ჭირიმე?

—რათა? გავყიდე და იმიტომ.

რასაკვირველია, ეს გამჟღავნება მე მივიღე ისე, ვითომც მცოდნიყოს და შევჩვეოდე იმ აზრს და, რა უფრო გამიკვირდა, დედა ჩემმაც არ დაიწყო ტირილი. მხოლოდ შებარბაცდა ცოტათ და მე დამიჭირა თავი და გულზე მიმიკრა. ხელებზე შევატყე, რომ ჰქონდა ცივი ყინულივით და უკანკალებდენ.

შემდგომ რამდენიმე წუთისა დედა-ჩემი დაემხო მიწაზე და დაიწყო ხვევნა ბატონს ისე, როგორც შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოთ ართმევენ შვილსა. ბატონმა უბრძანა ბიჭებს, რომ გაეგდოთ ის კარში. დედა-ჩემი ადგა და გამოვიდა, მხოლოთ ჰკითხა ბატონს საროდიოთ მოვემზადებინეთ ბატონმა უბრძანა, სახვალიოთაო.

იმ ღამეს, შუაღამისას, როდესაც სულ ყველამ დაიძინა, დედა ჩემი ადგა, ჩუმათ გამაღვიძა და შემდგომ დარიგებისა სად მომეცადნა, ვამგზავნა კარში. ცოტა ხანს უკან გამოვიდა ჩემთან დედა ჩემი ჩემი დით.

—აბა, ახლა შვილებო, ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ გზას,—გვითხრა დედა ჩემმა, გადაგვწერა პიჯვარი, გაგვიძღვა წინ და გვითხრა რომ მივსულიყავით.

ღამე იყო შემოდგომისა, ბურუსიანი და ბნელი, დედა ჩემმა იფიქრა, თუ საძებნელათ გამოგვიდგებოდნენ მოგვძებნიდნენ უფრო უალაგო ალაგას და ტყეში და იმიტომ დაადგა ქალაქის გზას და იმაზე წამოგვიყვანა. რომ ირაჟრაჟა, ჩამოვედით ღართისკარის ჭალაკში. აქ დედა ჩვენმა აგვსვა ჩვენ ერთი დიდი მუჩის ხეზე, რომელიც სხვებზე უფრო იყო შემოსილი ფოთლით და გვითხრა, რომ ვყოფილიყავით იქ ჩუმათ, მთელი დღე გავატარეთ იქ და რომ დალამდა წამოვედით და ჩამოვედით ქალაქში.

შემდგომ მე მიკვირდა, რატომ ბატონი არ გამოგვიდგა მეთქი, და ან დედა ჩემმა ქალაქისკენ რათ წამოგვიყვანა და არა ფშავისკენ, სადაც დედა ჩემს ჰყვანდნენ დედის ძმები; მაგრამ გამოჩნდა, რომ ბატონი მართლა გამოგვდგომიყო საძებ-

ნელად მეძებრებით და ვეძებნეთ ფშავის გზაზედ, და დედა ჩემმა მიხვდა რა, რომ ეს იქნებოდა, წამოგვიყვანა ქალაქს.

ქალაქს რო ჩამოვედით, ერთი კვირა ისე გაგვიძნელდა ცხოვრება, რომ კინალამ შიმშილით დავიხოცენით. სოფლიდ-გან რაც ხორაგი წამოვიღეთ ის მესამე დღესვე გამოგველია და მემრე არავინ არა მოგვცა რა, ჯერ ერთი იმიტომ რომ მათ ხოვრობასაც თავისი ოსტატობა უნდა, რომ შეაბრალოს თავი, რომელიც ჩვენ არა გვქონდა და მეორე—არა გვქონდა იმისთანა ნაკლულევანება სხეულისა, რომ შევბრალებოდით ხალხს, მაგრამ განგება ღვთისა არსად აგდებს კაცს უნულგეშოთ. ერთ კვირას უკან დედა ჩემმა დაგვაყენა ერთ ბერძენთან მოჯამაგირეთ, თითონ კი დაიჭირა კლდის უბანში ერთი პაწაწა ოთახი და დაიწყო პურის მცხობლობა. დამაკიწყდა მეთქი: დედა ჩემმა დაირქო სომხობა და სულ-ყველას სახელები გამოგვიცვალა. თითონ დაირქო მათუა, მე დამარქო კარაპეტა და ჩემს დას შუშანა, ესე გავატარეთ დრო თითქმის ხუთი წელიწადი. ჩემი და გაიზარდა და მივათხოვეთ სომეხს. ჩვენც დავდიოდით სომხურს საყდარში, მაგრამ არც მე და არც დედა ჩემი არა ვზიარებულვართ იმ ხუთ წელიწადში, იმიტომ რომ სომხის საყდარში არ გვაზიარებდნენ, როცა, რომ შეიტყობდნენ, ქართველები ვიყავით; ქართულ ეკლესიაში კი ვერა ვბედავ-დით ზიარებას, იმიტომ რო გამოჩენისა გვეშინოდა. ერთხელ მარიამობის მარხვაში დედა ჩემი ატყდა, რომ თუ არ ვეზიარე არ იქნებაო. მე ვთხოვე, რომ მღვდლისათვის არ ეთქო სრულებით თავის ჩამომავლობა. დედამ მომცა პირობა, მაგრამ ეტყობა რომ სვინიდისს ძრიელ შეეწუხებინა, რომ ვერ გაეძლო და ეთქო სულ ყველა; იმავ დღეს როცა თქო აღსარება, ვიღაც კაცები დაგვესხნენ, შეგვიკრეს ხელები და გაგვიგდეს წინ.

რომ მივყვანდით, საწყალ დედა ჩემს სცხვენოდა ჩემი და თვალებით მეხვეწებოდა, რომ მიმეტევებინა იმისთვის ეს შეცდომა. საწყალი დედა!.....

ბატონთან რომ მიგვიყვანეს, იმან, შემდგომ სხვათა და სხვათა სასტიკთა ტანჯვათა, უბრძანა ბიჭებს რომ შევებით გუ-

თანში, დიახ, გუთანში! ისე როგორც აბამენ ხარებს. ხარის უღელი დაგვადეს კისერზედ, მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა ჰპოვა სუბუქად, იმიტომ რომ გუთანში ხარები დადიოდნენ ძრიელ ნელა და ვერ დავიღალებოდით, და იმისთვის მეორე დღეს შეგვაბა კევრში. კევრზე დაჯდა თითონ და გვერეკებოდა. ცოტაც რომ დავმდგარიყავით, ამოსუნთქვისათვის, მაშინვე გველოდა სახრე. კარგა მოგეხსენება, რამდენი სირბილი შეუძლიან კაცს, უმეტესად ისე დასუსტებულს, როგორიც იყო დედა ჩემი, თითქმის ათჯერ შემოურბინა კალოს ისე, რომ ერთი ჩოვილიც არ ამოსვლია პირიდგან. მეთერთმეტეთ რომ უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედა ჩემი უეცრად წაიქცა და მოკვდა. საწყალს დედა ჩემს არც კი დააცალეს მშვიდათ მომკვდარიყო. ბატონს ეგონა, რომ ატყუებდა იმას და იმიტომ სახრით დაუწყო ცემა, რომ აეყენებინა, და ასე, სახრის ქვეშ ამოუვიდა სული.

—გამოუშვით ბიჭო ეგეცა, ხომ ხედავ ამხანაგი აღარა ჰყავს,—უთხრა ბიჭებს ბატონმა ჩემზე.

ბიჭებმა გამომიშვეს. საღამოზედ მომცა საშინელი სიცხე, შუალამემდე ვეწვალე საშინელად. მე მეგონა ცოცხალი ჩამაგდეს ჯოჯოხეთში მეთქი; შემდგომ შუადამისა კი აღარა მახსოვს რა. გავხდომილიყავი ავათ შავი საოფლით. ჯერ ისე ავათ რომ ვყოფილიყავ ვინ იყო ჩემი პატრონი, ვის სტკიოდა ჩემთვის გული, რომ საოფლეში, ამ საშინელ შესაყარ ავათმყოფობაში,—რომ ვინმე მომკარებიყო. მაგრამ არ ვიცი როგორ, მხოლოდ სამ კვირას უკან მოვედი გრძნობას. ერთმა რეგვენმა დედაკაცმა, რომელსაც არ ესმოდა არც სიცოცხლე, არც სიკვდილი და არც ავათმყოფობა, და რომელიც თურმე მივლიდა მე ავათმყოფობაში, შემატყობინა რომ ჩემ გარდა კიდევ ბევრი იყვნენ ჩემსავით ავათ. ამ ავათმყოფობით ჩემი ბატონის სახლში მოკვდა სამი კაცი; იმათში ერია ერთი პირმშო შვილი ჩემი ბატონისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონ-ყმობა რუსეთში

პაშინელი სენი ბატონ-ყმობისა მძვინვარებდა რუსეთში და მის წინმსვლელობას ხელს უშლიდა. ორას წელიწადზე მეტი ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში იყო. მართალია, მონობა არ იყო ახალი რამე და უფრო გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთში და რომში. ზოგი ერთი ფილოსოფოსები ამტკიცებდენ, რომ თვით კანონია: ერთი უნდა იყვეს ბატონი, მეორე—მონა-ყმა. ეს ყმა მოკლებული იყო ყოველივე უფლებას, მას ნება არა ჰქონდა თავისუფალი ცხოვრებისა, ნება არა ჰქონდა, სადაც უნდოდა და როგორც უნდოდა, ეცხოვრა; თავისი ოჯახი ჰქონოდა. მისი ოჯახი ხელ შეუხებელი არ იყო. ბატონს შეეძლო ყოველ წამს ოჯახის მშკიდობიანობა დაერღვია ყმას არ უყურებდნენ, როგორც ადამიანს, სწორს. ყმა იყო პირუტყვი, ბატონისათვის გამოსაყენი საქონელი. შესანიშნავად არის დასურათებული მონობის საზიზღრობა მშვენიერ წიგნში „ბიძია თომას ქოხი". ეს წიგნი ამერიკელი მწერალი ქალის დაწერილია და იმაში ცხოვლათ არის გამოყვანილი ტანჯვა-ვაება შავი კაცისა,—მონებისა. მაგრამ ადამიანი ყოველგან ერთია და მისი ტანჯვაც ერთნაირია.

მდიდარი მებატონე მეძებარშიაც გასცვლიდა თავის გლეხს, მთელ მის ოჯახს. რუსის მწერალი ნეკრასოვი, რომელიც თავისს ლექსებში ისე ცხოვლად, ნათლად დაგანახვებთ ყმის მდგომარეობას, ამბობს: „ათრთოლებული და მუდამ შეშინებული ყმები შურით შესცქეროდენ ბატონის მეძებრებს, რომლებსაც მეტი პატივი და ფასი ჰქონდათ. რუსეთში მე-XVI საუკუნეში გლეხი ჯერ კიდევ თავისუფალი იყო, მაგრამ ქონებრივმა დამოკიდებულებამ მემამულესთან ცოტ-ცოტათი შეჰბოჭა გლეხი. გლეხს წაერთვა ჯერ უფლება ადგილიდან ადგილზე გადასვლისა, მას დაუნიშნეს სხვა და სხვა გადასახადები. ნელ ნე-

ლა გლეხი ჰკარგავდა თავის პირადობას, თავისუფლებას. გლეხს აღარ შეეძლო თავისუფლად მუშაობა; და თავისუფალი მუშაობა კი არის საფუძველი ყოველ გვარ ბედნიერებისა.

დამოკიდებულება ბატონთა და გლეხთა შორის იზრდებოდა და მე-XVII—XVIII საუკუნეში,—წინეთ უკვე თავისუფალი გლეხი—შეიქმნა ყმათ, იმ არსებათ, რომელსაც აღარ ქონდა არავითარი უფლება, რომელსაც უყურებდენ, როგორც რამე ნივთს, საქონელს.

საშინელი იყო ცხოვრება ასეთი ყმისა. მემამულე სწოვდა მის უკანასკნელ ძალას, ვერაფერი მას ვერ შეიკავებდა, ოღონდ ბატონს დაეკმაყოფილებინა თავისი ჟინი.

ვისა სთხოვდა შველას უფლება დაკარგული ყმა! ვის შესჩივლებდა? სასამართლოს კარები მისთვის დახშული იყო. „სამართალი მარტო მდიდრებისათვის და ბატონისათვის იყო“. მცირედი დანაშაულობისათვის, ნაბრძანების აუსრულებლობისათვის მას მოელოდა გაროზგვა; ამასაც არ აკმარებდენ „სალდათათ“ ბისცემდენ. იმ დროის სალდათობა კი ყმობაზე უარესი იყო.

გლეხებს ჰყიდდენ ცალ-ცალკე და მთელი ოჯახობით. დედას წაართმევდენ შვილს, ცოლს მოაშორებდენ ქმარს, მოხუც მამას წაართმევდენ მარჩენელ შვილს. ბატონს იმის ნებაც ჰქონდა, რომ შეეძლო როგორც უნდოდა ისე დაესაჯა თავისი ყმა. ის ყოველთვის მართალი გამოდიოდა, რადგანაც მას თავის სწორთან არ ჰქონდა საქმე, არამედ თავის საქონელთან, თავის საკუთრებასთან. არავითარი ხვეწნა-ვედრება, ავათმყოფობა—უძლურობა, სიბერე—არას უშველიდა ყმას. მებატონეს სახლში დილიდან საღამომდე ლანძღვა, ლაწა-ლუწი, ტირილი ისმოდა. ყმა-ქალის მდგომარეობა უკეთესი არ იყო. მას არ შეეძლო გაჰყოლოდა ცოლად იმას, ვისაც მოისურვებდა. ბატონს უნდა ამოერჩია მისთვის ქმარი. ხშირად საქმროს საცოლოს მოაშორებდენ და მიათხოვებდენ ვინმე უცხოს, რომელიც არც კი ენახა. მთელი დღეობით ყმა-ქალი ბატონის სახლში მუშაობდა—ქსოვდა, ჰკერავდა და სხვა.

მებატონეებს არ უნდოდათ გაეგოთ, რომ გლეხი იგივე ადამიანია. მემამულეებს არ უნდოდათ აეხილათ თვალები და დაენახათ, რომ სახელმწიფო იღუპება, როდესაც თითქმის მესამედი მისი მცხოვრებლებისა ყმათ არიან ქცეულნი. ბატონყმობა ხელს უშლიდა მეურნეობას, მრეწველობას და სახელმწიფოს შემოსავალი მცირდებოდა. ყმები, რომელთაც ნება არა ჰქონდათ ემუშავნათ ისე, როგორც სურდათ, თვითონაც იღუპებოდენ და სახელმწიფოსაც ღუპავდენ. რადგანაც არც მრეწველობა და არც მეურნეობა იყო—ცხოვრება ძლიერ ძვირი შეიქნა და ყველაზე უფრო ეს ღარიბი ხალხისთვის იყო საგრძნობელი. ყმა იძულებული იყო ძალდატანებით სხვისათვის ემუშავნა და თვითონ ვერავითარ სარგებლობას ვერ ხედავდა თავის შრომისას. ამიტომ ის ცუდად მუშაობდა, უგულოთ! რაც კი რამ ჰქონდა ოჯახში გლეხს,—ბატონისთვის უნდა მიეტანა —კვერცხი, ფრინველი, ხილი, ტილო, ნაქსოვი არშიები. თუ რამე ხელობაც იცოდა—ბატონის სასარგებლოთ უნდა გამოეყენებინა. გლეხს დრო არა ჰქონდა ემუშავნა თავის დაობლებულ ყანაზედ—თავისთვის, საქონელი ცოტა ჰყავდა. გლეხები ცხოვრობდენ ქოხებში, რადგანაც დრო არ ჰქონდათ აეშენებინათ სახლი, ტყეც რო ჰქონებოდათ.

თუ გლეხი შინა ყმა არ იყო, მას ამუშავებდენ ქარხნებში. ზოგი მემამულე ასობით ჰყიდდა თავის ყმებს რომელიმე ქარხანაში სამუშაოდ.

ყმა თუ გაქცევას დააპირებდა, მას მოელოდა სასჯელი. შეერთებულ შტატებში თუ მონა პლანტაციიდან გაიქცეოდა, მას გაადევნებდენ დაგეშილ ძაღლებს, როგორც მხეცს. რუსი ყმა უკეთეს მდგომარეობაში არ იყო. ისინიც გაჭირვებას განიცდიდენ, სიმშილისაგან და დარდისაგან იხოცებოდნენ. ადვილი წარმოსადგენია, რომ რუსეთშიაც ხალხში უკმაყოფილება დაიბადა. ხშირადაც აქა-იქ გლეხები აჯანყდებოდენ ხოლმე, მაგრამ მათ მალე ჩააჩუმებდნენ სხვა და სხვა ზომების საშუალებით.

ამიტომაც იყო, რომ ხელმწიფე, ალექსანდრე მეორე

ეუბნებოდა თავის თანაშემწეებს: „სჯობს გავანთავისუფლოთ გლეხები ჩვენ თვითონ, მალლიდან, ვიდრე უცადოთ იმ დროს, როდესაც თვით გლეხები დაიწყებენ ამ საქმეს ქვემოდან. გთხოვთ ამაზე იფიქროთ და მოიყვანოთ ეს საქმე აღსრულებაში.“

ზოგი მოწინავე კაცები გრძნობდენ, რომ საქმე ასე დიდხანს ვერ გასტანს, საჭიროა გლეხებს მიეცეთ თავისუფლება, საჭიროა მემამულეებმა პირადი სარგებლობის გარდა იფიქრონ საზოგადოებრივ სარგებლობაზედაც.

მაგრამ მათი ხმა იყო „ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“.

თვით ცხოვრებაც ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია 25 მილიონი ხალხი დამონავებული, უფლებებს მოკლებული იყოს. ცხოვრება უჩვენებდა, რომ საჭიროა განთავისუფლდეს ხალხის შრომა, მიეცეს ამით შეძლება თავისუფლად განვითარდეს მისი ნიჭი და ძალა.

ასეთი იყო რუსეთის მდგომარეობა, როდესაც ტახტზედ ავიდა მეფე, ალექსანდრე მეორე. ერთი მხრით 25 მილიონი ხალხი დამონავებული, მეორე მხრით მებატონეები—ბატონ-ყმობის მოტრფიალენი, რომელნიც ამბობდენ: „რათ უნდა ყმას თავისუფლება? თავისუფლება მისთვის მავნებელია, ის ვერ მოიხმარს მას. ყმა უმცროსი შვილია ადამიანისა. მას ეჭირვება სასტიკი მამა ბატონი.

ზოგიც ამბობდა, როგორ გინდათ თავისუფლება მისცეთ იმ ხალხს, რომელიც ახლაც, ჩვენ მფარველობის ქვეშ, ცუდ ზნეობას იჩენს!

ყმებს ესმოდათ, რომ მათ განთავისუფლებაზე ლაპარაკობენ, ესმოდათ, როგორ საუკეთესო მამულის შვილნი თხოულობდენ დაუყოვნებლივ მათ განთავისუფლებას და ხალხი ღელავდა,—მას ბევრი მიზეზიც ჰქონდა აღელვებისა.

ხელმწიფის ბრძანებით შესდგა კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებია გეგმა მანიფესტისა. ეს კომისია მუშაობდა ოთხი წლის განძავლობაში და ბოლოს 19 თებერვალს 1861 წ. წარუდგინეს ხელმწიფეს ხელმოსაწერად.

ეს იყო საიუკეთესო საქმე, რომელიც მომხდარა როდისმე რუსეთის ხალხის ცხოვრებაში.

აი, როგორ ასწერს ბატონი ჯანშიევი იმ წუთებს, როდესაც ხელმწიფეს უნდა მოეწერა ხელი მანიფესტისთვის. „ალექსანდრე II-მ მოისურვა მარტოდ დარჩენა რადგან ამ წუთში უნდა მომხდარიყო დიდებული საქმე მისი მეფობისა. რუსეთში იწყობოდა ახალი ხანა ისტორიისა. ხელმწიფეს უნდოდა მარტოდ დარჩენა, უმოწმოდ, თავის სინიდისთან... მან აღელვებულმა მანიფესტს ბატის კალმით მოაწერა ხელი. ასრულდა დიადი საქმე".

5 მარტს 1861 წ. ხალხს საყდრებში წაუკითხეს ეს მანიფესტი.

„გამოისახე პირჯვარი, ერო მართლმადიდებელო, მოუწოდე ჩვენთან ერთად უფალსა, რათა მან აკურთხოს თავისუფალი ნაშრომი შენი, რომელიც შეიქნება საფუძვლად შენის ოჯახის ბედნიერებისა და საზოგადოების კეთილდღეობისა."

ხალხს თითქოს არ სჯეროდა. ის თავის განთავისუფლებას, როგორც მოულოდნელ სასწაულს, ისე უყურებდა.

რა მისცა გლეხებს 19 თებერვალმა? პირველად ყოვლისა პირადი თავისუფლება. გლეხს შეეძლო ახლა თავისუფლად ემუშავნა თავის მიწაზედ. მას შეეძლო, როგორც პირადად, ისე მთელი საზოგადოებით, შეეკრა ყოველ-გვარი პირობები, ვაჭრობა დაეწყო, ქარხანა გაეხსნა, მრეწველობისთვის ხელი მოეკიდა, ყოველ-გვარ აღებმიცემობის უფლება მიეცა; მისი დასჯის ნება უსამართლოდ აღარავის არ ჰქონდა, გლეხი კანონის მფარველობის ქვეშ მოექცა, რომელიც ყველასთვის ერთი გახდა; მას შეეძლო ეჩივლა. გლეხს ეძლეოდა ნება სხვა წოდებაში გადასვლისა, შვილები სასწავლებელში გაეზარდა, სახელმწიფო სამსახურში შესულიყო. რაც შეეხება მიწას, რადგანაც ყმა ეკუთვნოდა ბატონს, გლეხებს უნდა გამოესყიდნათ ბატონებისაგან თავისი წილი „ნადელი". ნადელები სხვა და სხვა ნაირი იყო. იქ, სადაც მიწა ბევრი იყო, ხალხი კი ცო-

ტა სცხოვრებდა მასზედ, ნადელები მეტი მიეცემოდათ. იქ კი, სადაც მიწა ცოტა იყო, ნადელებიც ცოტა მიეცემოდა.

ბატონ-ყმობის მოსპობით რუსეთში ცხოვრების ცვლილება დაიწყო. ბატონ-ყმობის გაუქმებამ საზოგადოებას დაანახვა, რომ ყველანი თანასწორნი არიან,—ალარც ყმა და ალარც ბატონი არ არის; ამას შედეგად მოჰყვა რეფორმები: უწინ სასამართლო იყო მარტო ბატონებისთვის და მდიდრებისთვის, ახლა კი სამართალი ყველასთვის ერთია. უწინ საქმეები სასამართლოში ოცი წელიწადი ირჩეოდა, მოსამართლეები მოქრთამენი იყვენ, ახალი რეფორმა კი მოითხოვდა, რომ მსჯავრი ყველასთვის „მსწრაფლი, თანასწორი და მოწყალე" ყოფილიყო.

სამხედრო სამსახურში გაჰყავთ ახლა როგორც ბატონი, ისე ნაყმევიც. ესეც გლეხების განთავისუფლების შედეგი იყო. სწავლა საერთოთ ყველასათვის მისაწვდენი გახდა. საზოგადო საქმეებში გლეხი თავადთან ერთად მონაწილეობას იღებს. ცემით სასჯელიც გააუქმეს.

მართალია, ყველა ამ რეფორმებს ცხოვრებაში ჯერ მაგრად არ მოუკიდიათ ფეხი, ყველა არ არი სისრულეში მოყვანილი, მაგრამ 19 ოებერვალი ითვლება იმ დიად დღეთ, როდესაც პირველად თავისუფლების ზეზე ამოანათა რუსეთში.

ა. ფ.

მესმის მესმის...

ესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვად მონობისა.

აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!...

ილ. ჭავჭავაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავი ქვეყანა.

(მოგზაურობა ჩრდილოეთ ამერიკაში)

ფლორიდა.

IX

ერთებულ შტატებში ფლორიდის ნახევარკუნძული ყველაზე ცხელ ადგილათ ჩაითვლება და დიდათ განირჩევა ჩრდილოეთისკენ მდებარე ადგილებიდან. იგი ქვიშიანი და დაბლობია. მეტადრე ძირს, ნაპირებზე, სულ ჭაობიანია და წყალთან ისე თანაბრივი, რომ გეგონებათ ესეს არი ახლავე წყალი ზედ გადავა და ყველა სულდგმულს ჩანთქავს.

ჩვენ საკანნიდან მატარებლით მივედით ფლორიდის უმთავრეს ქალაქში—ჯეკსონვილში, რომელიც სენ-ჯონსის მდინარეზეა გაშენებული და უმთავრესი ზღვის ნავთ-სადგურია. აქვე თავმოყრილია მდინარის აუარებელი გემები. ჩვენ ერთ-ერთ გემით წავედით ფლორიდის შუაგულ ადგილებში. დიდხანს მოგვიხდა გემით სიარული, მდინარე ჯერ ისეთი განიერი იყო, თითქოს დიდი ტბა არისო, მერე ნაპირები დაუახლოვდენ ერთმანეთს და ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგა მშვენიერი კიპაროსის და კოკოსების ხეები შემოხვეული ერთგვარი ესპანიური ხავსით, რომელიც ხეებიდან ჩამოდის, მიწაზე ეფინება და ვერცხლსავით ბრჭყვინავს.

ფლორიდას ბუნება, რასაკვირველია, დიდათ განირჩევა ჩრდილოეთ ადგილების ბუნებისაგან. აქ ისეთი უცხო გარეული ყვავილებია, რომლებსაც ჩრდილოეთში სათუთად თბილათ ინახავენ. ზოგჯერ ისეთ ადგილებში გაივლის კაცი,—გეგონებათ შუაგულ ცხელ აფრიკაში ხართო. ჰაერიც აქ სხვანაირია, დილით და საღამოთი გრილა, მაგრამ შუადღისას ისე ცხელა, რომ, უსათუოთ თავი უნდა სადმე შეაფაროთ.

ფრინველებიც აქ სულ ცხელი ქვეყნებისაა: გრძელ ფეხა წეროები, სირაქლემები, ლაკლაკები და სხვა, რომელნიც ნახევრათ ჭაობში იმყოფებიან; ზოგჯერ აქ ნიანგსაც შეხვდებით, რომელნიც გაიგებენ თუ არა გემის ხმაურობას, მაშინვე წყალში ჩაძვრებიან.



ნ ი ა ნ გ ი.

ფლორიდის მდინარეებში დიდ ძალი, ვეება, ყოველგვარი, თევზებია. ზოგი თევზი ადამიანის სიმაღლისაა და ას ორმოცდა ათ გირვანქას იწონს.

კარგა ხანს მივემგზავრებოდით, ბოლოს მივაღწიეთ ფლორიდის საუკეთესო ადგილს, სადაც გაშენებულია აუარებელი ფორთოხალი. ფორთოხალი აქ ისეთი ჩვეულებრივი მოსავალია, რომ ჩვენ შეგვიშვეს შიგ ბაღში. ხილსაც—რამდენიც გვინდოდა ვკრებდით. მერე რა გემრიელია ხიდან მოგლეჯილი ფორთოხალი! ათას წილათ უფრო სასიამოვნო საჭმელია, ვიდრე საუკეთესო მაღაზიაში ნაყიდი. საჭოგადოთ აქ ხეებს დიდძალი ფორთოხალი ასხია, ისინი ზურმუხტოვან ფოთლებ შორის გამოსჭვრეტენ ხოლმე ოქროს ბურთებივით. ყოველ წლივ თითო ხე ხუთი ათასამდი ფორთოხალს იძლევა.

ფორთოხალის გაშენებაზე გვითხრეს, რომ ზოგჯერ ხუთიდან ათ წლამდინ გადის დრო, სანამ ჩარგული ხე მოიტანს პირველ ნაყოფს, ზოგმა ისიც გვითხრა, რომ ხან და ხან ასი წელიწადი გადის, სანამ ხე ფორთოხალს მოისხამს.

აქაურებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფორთოხალის კარგ მოსავალს. გამოანგარიშებულია, რომ ყოველ წლივ შეერთებულ შტატებში ექვს მილიონზე პეტი ფორთოხალი იხარჯება. მართალია იტალიიდანაც მოაქვთ ფორთოხალი, მა-

გრამ უმეტესათ ფლორიდა და სამხრეთ კალიფორნია იძლევა ამ ხილს.

სამხრეთ ფლორიდაში მოჰყავთ დიდძალი ანანასი და კოკოსის პალმა. კოკოსის პალმაც მეცხრე ან მეთორმეტე წელზე იღებს ნაყოფს. კარგი ხე თითო ხელობაზე იძლევა ხუთას ათ კოკოსის კაკალს.

ანანასი ამოდის მიწიდან ისე, როგორც კომბოსტო. რომ უფრო საუკეთესო ანანასი მოვიდეს, ამისთვის ნიადაგს უნოყიერებენ. თუ პირდაპირ კვალიდან მოსწყვეტთ ანანას, მაშინ მას მშვენიერი სუნი და გემო აქვს

ფლორიდას სამხრეთის უმეტესი ადგილები ისევ ისე უხიაკო და მოუვლელია. კაი დიდი მანძილი უნდა გადიაროს კაცმა მდინარის ნაპირებზე, რომ ჭაობები აღარ შეხვდეს. აქ გარდა დათვებისა, გარეული კატებისა და ირმებისას ვერას ნახავთ. ყოველ წამს მდინარეზე მოსალოდნელია შეგხვდეთ ნიანგი.

ფლორიდიდან გემით გავწიეთ ახალ ორლეანში, გადავედით მექსიკანის ყურეს. გზა კარგა შორი იყო და თანაც გემს უშლიდა წყალში სიარულს გაკეთებული ბოგირები და საგუბეები, მდინარე მისისიპს იმოდენა ჭუჭყი და ნაგავი მოაქვს თან, რომ ზღვის ყურე დაგუბდებოდა, რომ წყალში კედლები არ ჩაეყარათ და არხები არ გაეყვანათ.

ქალაქი ახალი ორლეანი მდინარის მისისიპის კიდეზე მდებარეობს. და ამ ადგილას აუარებელი გემები მიდი-მოდიან. ამ ქალაქშია მისისიპის მდელოების უმთავრესი ნავთსადგური. აქედან გააქვთ ევროპაში ხორბალი, მატყლი და სხვა საქონელი.

შაქრის მოყვანა.

X

ახალი ორლეანი მეტათ შესანიშნავია შაქრის ბაზრით. ნავთ-სადგურთან ათი ათასობით მოგროვილია შაქრით ბოჩკები. ზოგი ქუჩები სავსეა იმოდენა შაქრის საწყობებით, რომ გზას ვერ აღხვევთ.

ეს ქალაქი არის ბუდე ლერწმის შაქრისა. აქ დიდი ადგილებია — პლანტაციები შემუშავებული, სადაც მოჰყავთ შაქრის ლერწამი და აი შაქარს როგორ აკეთებენ. დასავლეთ შეერთებულ შტატებში მართალია ბევრგან მოჰყავთ შაქარი ჭარხლიდან, მაგრამ შაქარს უმეტეს ნაწილს შაქრის ლერწამიდან აკეთებენ, რომელიც კარგ, ნოყიერ და ნოტიო ადგილს მოჰყავთ მექსიკის ყურეში. შეერთებულ შტატებს აქაური შაქარი მაინც არ ჰყოფნით. დიდ-ძალი ჭარხლის შაქარი მოაქვთ გერმანიიდან და ლერწამის შაქარი — ბრაზილიიდან, ვესტ — ინდიიდან და გავაის კუნძულებიდან.

ორი საათის მანძილზეა ახალი ორლეანიდან შაქრის პლანტაციები. შაქრის ლერწამი ზოგი ისეთ დიდ მანძილზეა გაშენებული, რომ რამდენიმე ასი და ათასი დესეტინა უჭირავს შაქრის პლანტაცია, რომელიც ჩვენა ვნახეთ, მეტათ დიდი იყო. შიგა და შიგ რკინის ლიანდაგიც იყო გაყვანილი, რომ მოჭრილი შაქრის ლერწმები გადაეტანათ ამ მინდვრებიდან ქარხნებში. ამ საქმეს იმოდენა მუშები ადგია ხოლმე, რომ მათი სადგომები მთელ სოფელს შეადგენს. ქარხანა რამდენიმე დესეტინაზეა ხოლმე გაშენებული.

პლანტაციის სანახავათ ახალ ორლეანიდან წავედით მატარებელით. რამდენსამე ხანს შაქრის ლერწამს მივდევდით. მოჩანდა შაქრის ქარხნების დიდრონ საკვამლეებიდან, როგორ

კვამლი მაღლა ადიოდა. გზაზე ბევრ ჭაობებს ვხედავდით ვერ-ცხლოვან ხავსით შემკულს. ბოლოს გავჩერდით საკუთრივ ბლანტაციისთვის გამართულ სადგურზე. აქედან ცხენებით გა-ვემგზავრეთ მინდორში. გზა ლერწმებ შორის მიდიოდა. ლერ-წმის ფოთლები ჩვენ თავზე გადადიოდა, თუმცა ცხენებზე ვისხედით.

თქვენ უსათუოდ გენახებათ დიკის პურით მოსული მინ-დორი, ლერწმის მინდორიც სწორეთ იმასა ჰგავს, ხოლო შაქ-რის ლერწამი უფრო მაღალია, ვიდრე დიკის პური და ღე-როებზედაც მეტი განიერი ფოთლები აბია. ზოგი ლერწმის ღეროები სიმაღლით თუთხმეტი ფუტი იქნება და ისე არიან ერთი მეორეზე მიკრულნი, რომ ადამიანი შიგ ვერ გაივლის.

ახლა ვნახოთ როგორ ახარებენ შაქრის ლერწამს! ის მოჰყავთ ან შემოდგომას და ან გაზაფხულზე, მაგრამ იხე კი არა, როგორც დიკა. ლერწამი თესლით არ მოჰყავთ, მომ-წიფებულ ღეროებს ჩამოსჭრიან და ხნულში ჩასდებენ, ხნუ-ლი გრძლათ არის გაკეთებული მინდორში. თითო ხნული მე-ორესაგან შვიდ გოჯზეა გაკეთებული. ღეროებს ხნულში ერთს მეორეზე აწყობენ, ერთ ხნულში სამ ღეროს ჩასდებენ. მე-რეს ზემოდან მიწას წააყრიან. გაზაფხულზე გამოჩნდებიან ახა-ლი კლერტოები, მთელი გაშავებული მინდორი გრძელ ზო-ლებივით მწვანეთი იმოსება. კლერტოები მალე იზრდებიან. მარიამობისთვეში ღეროები კაცის სიმაღლეზე ადიან. ღვინო-ბისთვის ნახევრამდის თან და თან მაღლა იწევიან, მაშინ ორ კაცის ოდენაზე ადიან. ამ დროს ლერწამი სულ მზათ არის მოსაჭრელათ.

ერთ ბლანტაციის ბოლოს შევდექით, რომ გვენახა, რო-გორ სჭრიან მუშა-კაცები და დედაკაცები შაქრის ლერწამს. ისინი ჯგუფ-ჯგუფათ მუშაობდენ ზედამხედველის ბრძანებით. მუშები ისე ჩამწკრივებულნი იყვენ ლერწმის წინ, თითქოს მწვანე კედლის წინ დგანანო. თითეულს მათგანს ეჭირა ხელ-ში მზეზე ბრჭყვიალა დანა, რომელიც აქეთ იქით გადა-გამო-დიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჩქარა და მუყაითად მუშაობდენ! ყველაზე გემრიელი ლერწმის ნაჭერი სულ ფესვთან არის ახლოს, ამიტომ მუშები ღეროებს ზედ მიწაზე სჭრიან. ლერწმის წვეროებს და ფოთლებს სულ არა აქვთ შაქარი, ამიტომ მუშები აცლიან ფოთლებს და მარტო ღეროებს და ყლორტებს აგროვებენ, ერთად აწყობენ ურემზე და ისე მიაქვთ საქონლის მატარებელში ჩასაწყობათ.

გასაგზავნათ მომზადებულ ლერწმის ღეროებს გავყევით ჩვენც, რომ გვენახა აქედან როგორ მოამზადებდენ შაქარს.

ჩვენ მოგვიხდა გავლა ბოგირების სულ ახლო. ამბობენ ადრე ამ ადგილას სულ ჭაობები ყოფილა და პლანტაციების გასაკეთებლათ ეს ჭაობები ამოუშრიათ. ბოლოს მიუახლოვდით დიდრონ ქარხნებს. შიგ იდგნენ გასაოცარი დიდრონი მანქანები, რომელნიც ლერწმის ღეროებიდან გამოსწურავს შაქრის წვენს და მერე გააკეთებს შაქარს.

ჩვენი მატარებელი ქარხნის ერთ მხარეზე გაჩერდა. შაქრის ლერწმის ღეროები გადმოუშვეს მოძრავ პლატფორმაზე. პლატფორმამ წაიღო მაღლა ქარხნის წვერზე. მერე აქედან ლერწმის ღეროები ძირს დაუშვეს ორ მძიმე ფოლადის მორგვის მსგავს მანქანაზე, რომელსაც ისეთი კბილები აქვს, როგორც ხერხს. თვითონ მორგვი ბოჩკის ოდენაა, ხოლო ცოტა მოგრძოა. როდესაც ლერწმის ღეროები მორგვზე დაეცემა,— მისი კბილები იტაცებენ და შეაქვთ შიგნით. მძიმე მანქანა აწვება ლერწმის ღეროებს და წვენს გამოსწურავს,—თვით ღერო კი მეორე მხრიდან გადმოცვივა ხოლმე გაჭყლეტილი, გამხმარი, თითქოს შარშანდელი ბზის ჩალაა. მაშინვე მოუდგამენ სხვა მოძრავ პლატფორმას, რომელსაც მიაქვს ცეცხლში დასაწვავათ.

ამნაირად ლერწმის გამოწურული ღეროები აძლევენ სითბოს და მოჰყავთ მოძრაობაში თვითონ ის მანქანა, რომელიც სწურავს ლერწმის ღეროებს.

ახლა ვნახოთ რა ემართება შაქრის წვენს. ჩვენ ჩავედით ძირს, საცა მორგვი—მანქანაა, იქ შაქრის წვენი საკუთრივ

ამისთვის გაკეთებულ განიერ ღარზე გადადიოდა. სითხეში თითი ამოვავლეთ და გემო ვნახეთ. წვენი საშინელი ტკბილი იყო. ეს სითხე სულ ჭუჭყის ფერისა იყო და გეგონებოდათ ნარეცხიაო. ამ ჭუჭყიან და უგემურ სიტკბოსაგან უნდა გამო-



კაკოსის პალმები.

ვიდეს თეთრი, სუფთა შაქარი; რასაკვირველია, ყოველი ჭუჭყი უნდა მოსცილდეს და წვენი, სანამ ჩადგამენ ასადუღებლათ, უნდა ისეთი სუფთა გამოვიდეს, როგორც ბროლი.

შაქრის კეთებას იმითი იწყობენ, რომ წვენს უნდა ფერი დაუკარგონ, ამისათვის იმას ჩაასხამენ რკინის ჭურჭელში (ბაკში) და შიგ გოგირდის გაზს ჩაუშვებენ. ამის გამო წვენი აქაფდება. ზედ მოიგდებს ყვითელ ქაფს, ქაფს მოხდიან. მერე ამ ჭურჭელში ჩაუშვებენ კირს, რომ ჭუჭყი ქვეშ მოექცეს. ასე რამდენჯერმე გაიმეორებენ კირით გაწმენდას, სანამ წვენი სულ გამჭვირვალე არ შეიქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ სითხე მზად არის მოსადუღებლათ. მას ადუღებენ სპილენძის დიდრონ ქვაბებში ორთქლის შემწეობით. დრო და დრო ხდიან ქვაბს, თან ერთი ჩაფიდან მეორეში ასხამენ. სითხე თან და თან სუფთავდება და სქელდება. ახლა მას გემო ნამდვილი ტკბილი აქვს და მოყვითანოა.

სითხე მილებიდან გადადის დიდრონ ჩაფებში. მივუახლოვდით ერთ ჩაფს და ვნახეთ დაშაქრებული სითხე როგორ ჩადის იმაში. მერე მიუყენებენ გასაშრობ მანქანას, რომ სითხიდან შაქარი გამოიყვანონ. შეველით შემდეგ სხვა განყოფილებაში, იქ ზემოდან ჩამოდიოდა ის შაქარი ფშვნილათ, როგორც თეთრი ქვიშა. მუშები ნიჩბებით ხვეტამდენ, ბოჩკებში ჰყრიდენ და ისე გზავნიდენ გასაყიდათ.

შაქარი რჩება ნაძირალა, მერე რას უშვრებიან ამ ნაძირალას? ეს ნაძირალა მეტათ განირჩევა შაქრის სითხისაგან და არც კი ასხამენ ბოჩკებში, პირდაპირ თითო კასრს ჰყიდიან ნ ან ნ კაპეიკათ და ან ღარებით გადააქვთ მატარებლით ერთი ადგილიდან მეორეში.

(შემდეგი იქნება)



მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.

სახალხო გაზეთი

ყოველდღიური სოციალიტიკა და სალიტერატურო გაზეთი

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети".

ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„Закавказье"

(Годъ VI-й).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:		Съ пересылкой въ другіе города:	
На годъ	6 р. — к.	На годъ	8 р. — к.
На полгода	3 р. 50 к.	На полгода	4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ иногородняго на городской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома. Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ, въ С.-Петербургѣ, Большая Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ **М. В. Мачабели.** Издатель **Д. П. Мадчаваріани.**

ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

ოცდა მეორე წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განეოფილებაა, ბავშვებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ღირება **4** მან, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

თელავში—კნ. ნ. ჩოლაყაშვილს,

სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში—ნიკო წუწუნავას.

ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили"

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1911 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь"

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь", Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь".

Редакторъ Р. Д. Бебіевъ.

Издатели: П. А. Готуа. Кн. Г. І. Амираджиби.